ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 16 მაისი, №9 (6494)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

## წელს, მართლაც გრანდიოზულ მასშტაბებში ჩატარდა სახალხო დღესასწაულები



ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში უხსოვარი დროიდან დამკვიდრდა სახალხო დღესასწაულები, რომლებიც წმინდანებისა და სალოცავების მიმართ პატივგების ნიშნად აღინიშნებოდა. „დღეობაში“, როგორც მაშინ უწოდებდნენ, უამრავი ადამიანი იღებდა მონაწილეობას, ვინაიდან კინოც კი იშვიათი სანახაობა იყო და ხალხს გართობა ენატრებოდა. თვითეული ოჯახი კი ამ დღისათვის საგანგებოდ ემზადებოდა და მთელი წლის მანძილზე ცდილობდა დანაზოგი გაეკეთებინა, რათა ღირსეულად დახვედროდა ახლობელ-ნათესავებს, მეგობრებსა და დაუპატიჟებელ სტუმრებსაც კი.

დღესასწაულებში იმართებოდა მხოლოდ სპორტული ღონისძიებები ლელობურთის, ჯირითის და ქართული ჭიდაობის სახით, მაგრამ საესტრადო ანსამბლები მონაწილეობას არ იღებდნენ. მეოცე საუკუნის ბოლოს კი ქვეყანაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის გამო (უდენობა, ეკონომიური სიდუხჭირე, განუკითხაობა და კრიმინალი) ზოგიერთ სოფელში მცირე მასშტაბებში აღნიშნავდნენ, ზოგან კი საერთოდ მიივიწყეს.





ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ გადაწყვიტეს ძველებურ მასშტაბებში აღედგინათ ტრადიციული დღესასწაულები და შესაბამის სამსახურებს დაავალეს განეხორციელებინათ ღონისძიებები დღესასწაულების გამართვის ადგილების კეთილმოწყობისა და საზეიმო განწყობის ასამაღლებლად, ხოლო ქართული ჭიოდაობის პოპულარიზაციისა და წარმატებული ფალავნების ღონისძიებებში აქტიურად ჩართვის მიზნით შესაბამისი ჯილდოები დააწესეს.

სახალხო დღესასწაულები გრანდიოზულ მასშტაბებში აღინიშნა გავაზში, ახალსოფელში, ზინობიანში, ჭიკაანში, კუჭატანში და მთისძირში, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ესტრადის და ფოლკლორის სიმღერები, ცეკვები ადგილობრივი ანსამბლებისა და თბილისიდან ჩამოსული ცნობილი მომღერლების შესრულებით.



დღესასწაულების დამამშვენებელი სანახაობა კი ტრადიციულად ქართული ჭიდაობა იყო. მასში მონაწილეობა მიიღეს კახეთის მუნიციპალიტეტების, თბილისის, გორის, ქარელის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-თიანეთის საუკეთესო ფალავნებმა.

გავაზის „ყველაწმინდობის“ დღესასწაულზე ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს ფალავნებმა:

**55 კგ. წონითი კატეგორია**

1. მურად ისლამოვი – ლაგოდეხი
2. ელვინ გაჯიევი – ლაგოდეხი
3. გიორგი სირანიშვილი – გორი.

**60 კგ. წ. კ.**

1. იოსებ ცერცვაძე – ქარელი
2. გიორგი მეტივიშვილი – ხაშური
3. ავთო წმინდაშვილი – ყვარელი.

**66 კგ. წ. კ.**

1. ნიკა ჭიკაიძე – ახმეტა
2. კობა ჭუმბურიძე – ლაგოდეხი
3. გიგა გივიშვილი – ყვარელი.

**73 კგ. წ. კ.**

1. მიხეილ ბახბახაშვილი – თელავი
2. გიორგი პაპოშვილი – გურჯაანი
3. ვალერი ცერცვაძე – ყვარელი.

**81 კგ. წ. კ.**

1. გიორგი დიდებაშვილი – დედოფლისწყარო
2. ნიკა კაკაშვილი – ქარელი
3. რამინ მაგამედოვი – ყვარელი.

**90 კგ. წ. კ.**

1. ზურა ლიქოკელი – თელავი
2. გიორგი მელაძე – ქარელი
3. გიორგი მარტიაშვილი – თელავი.

**90 კგ. წ. კ.**

1. ადამ ოქრუაშვილი – მცხეთა
2. ვახტანგ სარაჯიშვილი – ახმეტა

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



## 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე

დიდ სამამულო ომში ფაშიზმზე გამარჯვების დღე ტრადიციულად 9 აპრილის სახელობის პარკში აღინიშნა. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა როსტომ სესიაშვილმა მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და შეკრებილ საზოგადოებას ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა.

დიადი გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გახსნა კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა მაია ზარდიაშვილმა და ილაპარაკა მეორე მსოფლიო ომში მიღწეულ გამარჯვებაში საქართველოდან გაწვეული 700 ათასი მეომრის თავგანწირულ ბრძოლასა და დამსახურებაზე, რომელთაგან ნახევარმა სიცოცხლე მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაასრულა.

ღონისძიება გაგრძელდა კონცერტით. ფოლკლორულმა ანსამბლმა „ხეურომ“ (ხელმძღვანელი ირაკლი მათიკაშვილი) შეასრულა სიმღერები, ლექსები წარმოთქვეს პოეტმა მანანა შატავიძემ, ანუკი მოსულიშვილმა, მარიამ სიხარულიშვილმა და პოეტმა იზოლდა იოსებიანმა.

სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ღონისძიებას ვერ დაესწრნენ ომის ქაარცეცხლში გამოვლილი ჩვენი სახელოვანი ვეტერანები მამია სანადირაძე და დავით მეტრეველი.

**ალეკო ქაფიანიძე**



## ორდღიანი ტრენინგი მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის

11 და 12 მაისს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საქრთველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით მიმდინარეობდა ტრენინგი მცირე საწარმოთა ხელმძღვანელებისათვის. ტრენინგის განხილვის ძირითადი თემა იყო – „ბიზნესის განვითარება საქართველოს რეგიონებში.

ტრენინგს უძღვებოდა კრეატიული განვითარების ცენტრის ტრენერი ილია მეშვილდიშვილი.

ტრენინგი დაიწყო მეწარმთა საქმიანობის გაცნობით, ილაპარაკეს პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლიან პროდუქციის რეალიზებაში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ყვარლის მუნიციპალიტეტის ინტერნეტ რუკას, სადაც მხოლოდ სამი საწარმო იყო დარეგისტრირებული.

ტრენინგის მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ ელექტრონული კომერციის თეორიისა და პრაქტიკის გზამკვლევი, რომელიც საშუალებას იძლევა ბიზნესის დამწყებმა თეორიულ ცოდნასთან ერთად გაიაზროს შესაძლებლობები, რაც თან ახლავს ელექტრონულ კომერციას. გზამკვლევი გვიჩვენებს ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო პრაქტიკულ მიდგომებსა და მეთოდებს, რომლის მეშვეობით მეწარმე შესძლებს საკუთერი იდეების განხოციელებას და განვითარების გეგმებზე მუშაობას.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიზანია ქვეყანაში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისათვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, სტიმულირება ეკონომიკის ყველა დაგრში.

სააგენტოს სერვისებს და პროგრამებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია „ბიზნეს-ინკუბატორი“. ესაა დამწყები

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

# წელს, მართლაც გრანდიოზულ მასშტაბებში ჩატარდა სახალხო დღესასწაულები



დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე



3. პაატა მარტიაშვილი – თელავი.

**ახალსოფელში „სამებობის“ დღესასწაულზე იმარჯვეს შემდეგმა მოჭიდავეებმა:**
**55 კგ. წონითი კატეგორია**
1. გიორგი სარდალაშვილი – თბილისი
2. ანზორ სიდამონიძე – თელავი
3. კახა ბლუიშვილი – თელავი.

**60 კგ. წ. კ.**
1. დავით ბახბახიშვილი – თელავი
2. იოსებ ცერცვაძე – ქარელი
3. ვასილ მეტივიშვილი – ხაშური.

**66 კგ. წ. კ.**
1. ნიკო ჭიკაიძე – ახმეტა
2. გიორგი წიკლაური – დედოფლისწყარო
3. გიორგი მუმლაძე – ლაგოდეხი.

**73 კგ. წ. კ.**
1. მიხეილ ბახბახიშვილი – თელავი



2. გიორგი პაპოშვილი – კალაური
3. ვალერი ცერცვაძე – კალაური.

**81 კგ. წ. კ.**
1. გიორგი კანკავა – კასპი
2. ზურა შაზანდარიშვილი – გორი
3. გიორგი დიდებაშვილი – დედოფლისწყარო.

**90 კგ. წ. კ.**
1. ტრისტან (ტატო) მოსახლიშვილი – თელავი
2. ზურა ლიქოკელი – თელავი
3. ბექა მარტიაშვილი – თელავი.

**90+ წ. კ.**
1. გიორგი ზაქარიაძე – სამტრედია
2. ადამ ოქრუაშვილი – მცხეთა
3. ვახტანგ სარაჯიშვილი – ახმეტა.

**ზინობიანის სახალხო დღესასწაულზე გაიმარჯვეს მოჭიდავეებმა:**
**50 კგ. წ. კ.**
1. ჯაბა ლუხოშვილი – ახალსოფელი
2. ელვინ აჯიევი – კაბალი
3. მიშიკო წმინდაშვილი – ახალსოფელი.

**55 კგ. წ. კ.**
1. გიორგი სარდალაშვილი – თბილისი
2. მურად ისლამოვი – კაბალი
3. რიზვან რამაზანოვი – სარუსო.

**60 კგ. წონითი კატეგორია**
1. ვახტანგ მეტივიშვილი – ხაშური
2. ზურა სირაძე – ყვარელი
3. კობა ჭუმბურიძე – ლაგოდეხი.

**66 კგ. წ. კ.**
1. გიორგი წიკლაური – დედოფლისწყარო
2. კახა ქვაჭრელიშვილი – ყვარელი
3. გიგა გივიშვილი – ყვარელი.

**73 კგ. წ. კ.**
1. ნიკა კაკაშვილი – ყვარელი
2. გიორგი პაპოშვილი – გურჯაანი
3. შამილ მუსაევი – ყვარელი.

**81 კგ. წ. კ.**
1. გიორგი მულაძე – ქარელი
2. რამინ მაგამედოვი – ყვარელი
3. გოჩა დავითაშვილი – ყვარელი.

**90 კგ. წ. კ.**
1. ზურა პარწიკანაშვილი – ყვარელი
2. ზურა ლიქოკელი – თელავი
3. გიორგი გივიშვილი – ყვარელი.

**ჭიკაანის „კვირაცხოვლობის“ დღესასწაულზე გამარჯვებულნი არიან:**
**55 კგ. წ. კატეგორია**
1. ანზორ სიდამონიძე – თელავი
2. გიორგი სარდალაშვილი – რუსთავი
3. ჯამბულ ლუხოშვილი – ყვარელი.

**60 კგ. წ. კ.**
1. ვახტანგ მეტივიშვილი – ხაშური
2. კობა ჭუმბურიძე – ლაგოდეხი
3. იოსებ ცერცვაძე – ქარელი.

**66 კგ. წ. კ.**
1. ნიკა ჭიკაიძე – ახმეტა
2. გიორგი წიკლაური – დედოფლისწყარო
3. ემზარ უნგიაძე – რუსთავი.

**73 კგ. წ. კ.**
1. ელგუჯა ბარბაქაძე – რუსთავი
2. გიორგი პაპოშვილი – გურჯაანი
3. ნიკა კაკაშვილი – ქარელი.

**81 კგ. წ. კ.**
1. გიორგი ძინიყაშვილი – ყვარელი
2. გიორგი კანკავა – კასპი
3. ზვიად ბაზანდარაშვილი – გორი.

**90 კგ. წ. კ.**
1. ტრისტან მოსახლიშვილი – თელავი
2. ზურა ლიქოკელი – თელავი
3. ზურა პარწიკანაშვილი – ყვარელი.

**აბსოლუტური (მძიმე)**
1. ონისე ბუღაძე –
2. ადამ ოქრუაშვილი – მცხეთა
3. გიორგი ქავთარაძე – თბილისი.

**კუჭატანში „გიორგობის“ დღესასწაულზე თავი გამოიჩინეს შემდეგმა მოჭიდავეებმა:**
**55 კგ. წ. კ.**
1. ლუკა მეტრეველი – ლაგოდეხი
2. მურად ისლამოვი – კაბალი
3. გიორგი სირანიშვილი – გორი.

**60 კგ. წ. კ.**
1. ვახტანგ მეტივიშვილი – ხაშური
2. კობა ჭუმბურიძე – ლაგოდეხი
3. იოსებ ცერცვაძე – ქარელი.

**66 კგ. წ. კ.**
1. გიორგი ბალოშვილი – ჭიკანი
2. კახა ქვაჭრელიშვილი – ჭიკაანი
3. ზურა ზურაბაშვილი – ახალსოფელი.

**73 კგ. წ. კ.**
1. ნიკა კაკაშვილი – ქარელი
2. გიორგი პაპაშვილი – გურჯაანი
3. სოსო წყალობაშვილი – გავაზი.

**81 კგ. წ. კ.**
1. გიორგი დიდებაშვილი – დედოფლისწყარო
2. გიორგი მულაძე – ქარელი
3. რამინ მაგამედოვი – სარუსო.

**90 კგ. წ. კ.**
1. ზურა ლიქოკელი – თელავი
2. ციტნე წიკლაური – დედოფლისწყარო
3. ზურა პარწიკანაშვილი – ჭიკაანი.

**მძიმე (აბსოლუტური)**
1. ცოტნე წიკლაური – დედოფლისწყარო
2. ზურა ლიქოკელი – თელავი
3. გიორგი მულაძე – ქარელი

**მთისძირში ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმზე ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს:**
**50 კგ. წონითი კატეგორია**
1. ჯამბულ ლუხოშვილი – ახალსოფელი
2. მიშიკო წმინდაშვილი – ახალსოფელი
3. ელვირ მამედოვი – კაბალი.

**55 კგ. წ. კ.**
1. შამილ მაგამედოვი – სარუსო
2. ბექა ონიანი – თბილისი
3. გიორგი სირანიშვილი – გორი.

**60 კგ. წ. კ.**
1. ზურა სირაძე – ახალსოფელი
2. ავთო წმინდაშვილი – ახალსოფელი
3. კობა ჭუმბურიძე – ლაგოდეხი.

**66 კგ. წ. კ.**
1. გიორგი ბალოშვილი – ჭიკაანი
2. გიორგი წიკლაური – დედოფლისწყარო
3. კახა ქვაჭრელიშვილი – ჭიკაანი.

**81 კგ. წ. კ.**
1. ზვიად ბაზანდარაშვილი – გორი
2. თენგიზ დათაშვილი – გორი
3. რამინ მაგამედოვი – სარუსო.

**90 კგ. წ. კ.**
1. ბექა მაჭუტიძე – გორი
2. დავით კუდუხაშვილი – გორი
3. ფირუზ ქეთიაშვილი – ახმეტა.

**აბსოლუტური**
1. ზურა პარწიკანაშვილი – ჭიკაანი
2. ბექა მიქუტიშვილი – გორი
3. ფირუზ ქეთიაშვილი – ახმეტა.

გამარჯვებულ ფალავნებს გადაეცათ შესაბამისი პრიზები და ფულადი ჯილდოები.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# შეღავათები, რითიც პენსიონერები სარგებლობენ – ის, რაც ბევრმა თქვენგანმა არ იცის



საქართველოში პენსიაში გასვლა, არაერთ უსიამოვნო ფაქტორთან ასოცირდება – დაბალი შემოსავალი, შრომისუნარიანობის დაკარგვა, სახლში ჯდომა... თუმცა, ბევრმა არც იცის, რომ პენსიაში გასვლას გარკვეული უპირატესობებიც აქვს.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში პენსიონერებს განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვთ. ისინი სარგებლობენ სპეციალური შეღავათებითა და ფასდაკლებებით. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველოში მართალია პენსია არ არის საკმარისი სრულფასოვანი ცხოვრებისთვის, თუმცა, გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, ეს ადამიანები ბევრი პრივილეგიით სარგებლობენ. ამაზე შესაძლოა, ამ დრომდე არც გიფიქრიათ. ასე რომ, გთავაზობთ იმ შეღავათებს, რომლებითაც საქართველოში საპენსიო ასაკის მქონე ადამიანები სარგებლობენ:

1. შეღავათები მგზავრობაზე – საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზე ფასდაკლება პენსიონერებისთვის თითქმის ყველა ქვეყანაში მოქმედებს და იგი ერთერთი ყველაზე გავრცელებული შეღავათია, რითიც პენსიაში გასული ადამიანები სარგებლობენ. საქართველოში პენსიონერებს ფასდაკლებით შეუძლიათ ისარგებლონ თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტში – მეტროსა და ავტობუსში. აღნიშნულ ტრანსპორტში ისინი, სპეციალური ბარათის მეშვეობით, 50 თეთრის ნაცვლად 20 თეთრად ყიდულობენ ბილეთს. მსგავსი შეღავათია ბათუმის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზეც – პენსიონერები აქ 30 თეთრის ნაცვლად 15 თეთრს იხდიან.

2. საყოველთაო ჯანდაცვა – საქართველოში პენსიონერები სახელმწიფო დაზღვევის სისტემაში არიან ჩართულები, რაც იმას ნიშნავს რომ მათ ოჯახის ექიმთან ვიზიტი, სასწრაფოს გამოძახება, გადაუდებელი დახმარება და ოპერაციები უფასოდ ეკუთვნით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პენსიონერების სამედიცინო დაზღვევა ითვალისწინებს გეგმური ოპერაციების დაფინანსებასაც 90%-ით, შედეგად პენსიონერს მხოლოდ 10%-ის გადახდა უწევს.

3. მედიკამენტები – ასაკის მატებასთან ერთად, დაავადებებისა და ჯანმრთელობის პრობლემებიც მატულობს. ამიტომაც ერთერთი ყველაზე მტკივნეული თემა პენსიონერებისთვის, ძვირი მედიკამენტებია. მათ ხშირად ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის პრეპარატები. 2018 წლის 3 სექტემბრიდან ქრონიკული დაავადებების სამკურნალო 30-ზე მეტ მედიკამენტზე პენსიონერებისთვის 50% და მეტი ოდენობის ფასდაკლება ამოქმედდა, მათ შორის არის გულსისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო წამლებიც.

4. ფასდაკლება სუპერმარკეტებში – პენსიონერებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია ასევე კვება, რამდენადაც ამ ასაკში იმუნიტეტის გაძლიერებისთვის ერთერთი მთავარი ფაქტორი სწორედ ჯანსაღი კვებაა. 2018 წლის სექტემბრიდან პენსიონერები „ნიკორა სუპერმარკეტი“ ნებისმიერ მაღაზიაში ყველაზე მოთხოვნად 350-მდე დასახელების პროდუქტზე საუკეთესო ფასით ყოველდღიურად სარგებლობენ. „ნიკორა სუპერმარკეტი“ ლიბერთი ბანკის სოციალური ბარათის მფლობელებს, ყველაზე მოთხოვნად პროდუქციაზე ყოველ ხუთშაბათს უპრეცედენტო ფასდაკლებას სთავაზობს. აქცია ვრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამისათვის საჭიროა, „ლიბერთის“ სოციალური ბარათით გადახდა ლიბერთის გადახდის ტერმინალით.

5. მუზეუმები – მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილ მუზეუმსა და კულტურულ ცენტრში პენსიონერები განსაკუთრებული ფასდაკლებით სარგებლობენ. ამ მხრივ მათ საქართველოს მუზეუმთა ნაწილიც უერთდება. პენსიონერებს საქართველოს ეროვნულ მუზეუმებში ბილეთის ფასებზე შეღავათები აქვთ, კერძოდ, საპენსიო ასაკის მქონე პირები მხოლოდ 50 თეთრს იხდიან, მაშინ როდესაც ცალკეულ მუზეუმებში ბილეთის ფასი 7 ლარს აღწევს. მუზეუმების გარდა, პენსიონერები ფასდაკლებით სარგებლობენ მაგალითად ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და 8 ლარის ნაცვლად იხდიან 2 ლარს. ამგვარად, ვიდრე პენსიონერები სადმე მსგავს ადგილას ბილეთს იყიდით, იკითხეთ მოქმედებს თუ არა რაიმე ფასდაკლება.



# ორდღიანი ტრენინგი მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა შეღავათიან პირობებში, გაიარონ საკუთარი ბიზნეს იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი.

ელექტრონული მმართველობა არის კაცობრიობის მიერ შექმნილი მორიგი საშუალება, რომელიც ადამიანებს უმარტივებს ცხოვრებას. ზოგადად, ელექტრონული მმართველობა არის სახელმწიფოს ნება, გამოიყენოს თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებები, რათა მთავრობის მიერ გაწეული მომსახურება გახადოს უფრო ეფექტიანი, მოქნილი და ადვილად ხელმისაწვდომი დაინტერესებული ადამიანებისთვის.

ტრენინგი გაგრძელდება შაბათს 18 მაისს.

**ალეკო ქაფიანიძე**

# წარსული, რომელიც ყოველთვის თავს გვახსენებს



ხშირად ვიტყვით: „დრო მიდის, უკან არ ბრუნდება, დროს მიაქვს დროო“.

საუკუნეებიც რომ გავიდეს, ის წარსული ყოველთვის დარჩება ადამიანთა მეხსიერებაში, – წარსული თუნდაც მეორე მსოფლიო ომისა, რომელმაც ქვეყანას უბედურებაც მოუტანა და სიხარულიც, სიხარული გამარჯვებისა. წელს მთელმა მსოფლიომ 74-ედ იზეიმა 1945 წლის 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე. მრავალჯერ გვისაუბრია და დაწერილა კიდეც იმ ადამიანთა გმირობაზე, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს, მათზეც, ვინც ცოცხლები გადაურჩნენ ამ ომს. სამწუხაროა, რომ ეს ადამიანები დღეს აქა-იქღა არიან შემორჩენილები და წლებმა თავისი დაღი დაასვა მათ ჯანმრთელობას. ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენი თანამემამულეები – ომგამოვლილი ბატონი დავით მეტრეველი 102 წლისაა, ხოლო ბატონი მამია სანადირაძე – 98 წლის. მათთვის ყოველი 9 მაისი ერთ-ერთი გამორჩეული და ღირშესანიშნავი დღეა.

მამია სანადირაძე ერთხელ კიდევ იხსენებს იმ ავადსახსენებელ დღეებს, სოფელ ვანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად მშობლებმა რომ მიიყვანეს 26 კომისრის სახელობის 24-ე სკოლაში. სწორედ ამ სკოლის დამთავრების შემდეგ ჩერთო დიდ სამამულო ომში. მტკივნეულად იხსენებს შორეული აღმოსავლეთის ბრძოლებს, – ბელორუსიის ფრონტს, საბრძოლო გზის ბაბრუისკი-რეციცა-მინსკის გზის მონაკვეთზე მძიმე ბრძოლებს, სადაც ის დაიჭრა და ომგამოვლილი, მეორე ჯგუფის ინვალიდი რომ დაუბრუნდა თავის სამშობლოს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეს დღე მისთვის ყოველთვის სადღესასწაულო დღედ რჩება.

ტრაგიკულ ფურცლად არის ჩაწერილი მეორე მსოფლიო ომის მოვლენები დავით მეტრეველის მეხსიერებაშიც. მისთვის იმ ავადმოსაგონარ დღეებს თვლა არა აქვს, – ტირილი, სევდა, შიში, – აი, ეს იყო ბრძოლის ველზე მისი ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრი. თელავის სამხედრო სკოლის დამთავრებისთანავე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩადგა ჯარისკაცთა რიგებში და მამაცურად იბრძოდა ომის ფრონტზე. ყოველთვის ეიმედებოდა, რომ ცოცხალი დაბრუნდებოდა. ასეც მოხდა. ბერლინი, გროზნო, პიატიგორსკი, ორჯონიკიძე, ტუაფსე, ნალჩიკი, აი, ის ქალაქები, სადაც ვერაგი მტრის მოსაგერიებლად უხდებოდა შერკინება. მტკივნეულად იხსენებს ქალაქ ნოვოროსიისკთან მძიმე ბრძოლების დროს დაცემულ 16 ჯარისკაცს. მათთან ერთად მძიმედ დაჭრილს დიდხანს მოუწია კიევის ჰოსპიტალში მკურნალობა. ყოველთვის ამაყობს და არასოდეს არ ივიწყებს როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ყოფილი პრემიერის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის მილოცვას გამარჯვების დღესთან დაკავშირებით. ჩვენი ომგამოვლილები მადლიერნი არიან მთავრობის მიერ გამოჩენილი ყურადღებისა და მათი ღვაწლის დაფასებისთვის. ვეტერან ჯარისკაცებს ჩვენც ვულოცავთ გამარჯვების 74-ე წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს.

**დალი ტატულიშვილი**



# ძაღლი – ადამიანის საუკეთესო მეგობარი

*მოკლე ცნობა ძაღლის შესახებ, – სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ ძაღლი არის ძუძუმწოვართა გვარი ძაღლისებრთა ოჯახისა. ის ერთ-ერთი გამორჩეული ცხოველია თავისი საქმიანობით და ერთგულებით. იკვებებიან ცხოველებით, ზოგი ბოსტნეულით, მძორით, ხილით, ყურძნით და ა.შ. მრავლდებიან წელიწადში ერთხელ. შობენ 1-9 უსუსურ ლეკვს. საქართველოში ცხრა სახეობის ძაღლი არსებობს. ძირითადად გვხვდება ორი სახეობის (მგელი და ტურა), ძაღლის გვარს მიეკუთვნება შინაური ძაღლი, რომლის წინაპარია მგელი. შინაური ძაღლი რუხი მგლის ქვესახეობაა და კატებთან ერთად წარმოადგენს კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ „თანამგზავრ“ ცხოველს. როგორც ვიცით იგი ადვილად მოსათვინიერებელი და საწვრთნელი ცხოველია. მისი გამოყენება ხდება სხვადასხვა მიზნებისთვის, – ნადირობა, მაძებრობა, დაცვითი და საჭაპანო ფუნქციები. არსებობს ძაღლის დეკორატიული ჯიშებიც (ოთახის ძაღლები). მეცხვარე ძაღლები გამოირჩევიან განსაკუთრებულად განვითარებული ყნოსვით; ამიტომ მათმა მრავალფუნქციონურმა გამოყენებამ განაპირობა მათი ზედმეტსახელი – „ადამიანის საუკეთესო „მეგობარი“. მათ შეუძლიათ 40 ათასი სახეობის სურნელის გარჩევა-დამახსოვრება.*

*ვისაც ოჯახში ძაღლი ჰყავს, აუცილებლად იცის მისი ერთგულების ფასი, – პირველ რიგში იცავს ოჯახს, გვიცავს ხსვადასხვა მავნე მღრღნელებისაგან, ქვეწარმავლებისაგან. კარგი ძაღლი თაგვს არ გააჭაჭანებს სახლში. წლობით ერთად შეზრდილი ძაღლის დაკარგვა არც თუ ისე სასიამოვნოა ხოლმე ოჯახისთვის, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, რომლებმაც უფრო მეტად იციან მათდამი სიყვარულის ფასი. მიუხედავად ამ ყველა დადებითი თვისებებისა, ზოგიერთები მაინც უდიერად და მთელი სისასტიკით ექცევიან ძაღლებს. სახლიდან გამოგდებული ძაღლები მაწანწალა ძაღლებად იქცევიან. მათ ასეთ ქმედებებს ხშირად ვისმენთ ხოლმე ტელევიზიიდანაც.*

*ჩვენს რაიონში არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მართლა გულთან მიაქვთ და აწუხებთ მაწანწალა ძაღლების ბედი: ერთ-ერთი მათგანია ჩვენი რაიონის მკვიდრი, ქალბატონი ნინო ზაუტაშვილი. მას ერთი კითხვით მივმართეთ.*

**– ქალბატონო ნინო, რამ განაპირობა თქვენი ასეთი ჰუმანური საქციელი, რომ მფარველობა დაიწყეთ მაწანწალა ძაღლებისა?**

– პატარაობიდანვე მიყვარდა ცხოველები, მათზე ზრუნვა. ამჟამად ძალიან განვიცდი უპატრონოდ მიგდებული ძაღლების მდგომარეობას. უკვე წლებია რაც მათზე ვზრუნავ და გადავწყვიტე ბოლომდე ვიყო მათი დამცველი და ერთგული. ამჟამად ჩემი მფარველობის ქვეშაა შვიდი ძაღლი. ყოველდღიურად მიწევს მათი გამოკვება. ძაღლს მეტი რა უნდა, – სითბო და სიყვარული. მათ უკვე მეც შემიყვარეს. მაწანწალა ძაღლების ლეკვებს ვუყრი ხოლმე თავს და დასამუშავებლად თბილისში ელიზბარაშვილის სახელობის კერძო ძაღლთა თავშესაფარში ვაგზავნი. აქ მარტო მე არ ვარ, – ამ საქმეში ძალიან ბევრი აქტივისტია ჩართული, გამოჩნდა ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც თავდაუზოგავად ემსახურებიან ამ საქმეს. კარგი იქნება, რომ ხდებოდეს ცხოველების გასტერილება, შემდგომ კი მოხდეს მათი უკან დაბრუნება. კარგი იქნება მოხდეს ასევე ძაღლების აღრიცხვიანობა და დაბირკვა. ასეთი ძაღლებისაგან დაცული იქნება ყველა ადამიანი. ეს კი რთული გასაკეთებელია, რადგან ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული. მოკლედ, ჩვენი მფარველობის ქვეშ მყოფ ძაღლებს არ ეწევათ ვეტერინარული მომსახურება. ჩემი აზრით, მისასალმებელი იქნება, თუ რაიონი საკუთარი სახსრებით გამოყოფს ოთახს, შესაბამისად აღჭურვილს ვეტერინარული მომსახურების გასაწევად. ასეთ შემთხვევაში ვეტექიმის მოწვევა თვეში 1-2-ჯერ სრულიად შესაძლებელია მივლინებით ან უფასოდ, რათა თვეში ერთხელ მაინც მოხდეს მათი შემოწმება. მისი მუშაობით მოხდება რაიონში უპატრონო ძაღლების პრობლემების მოგვარება ერთ წელიწადში მაინც. ჯერჯერობით ამ საკითხში აქტივობას იჩენს არასამთავრობო სექტორი, მაგრამ ისინიც ამას ბიუჯეტის სიმწირის გამო ვერ აკეთებენ. ამიტომ ვფიქრობ საჭიროა სახელმწიფოს ჩართვა ამ საკითხში. ჩვენ გვჭირდება გასტრაცია-სტერილიზაციის პროგრამის ამუშავება, რომელიც ხელს შეუშლის ამ უპატრონო ძაღლების შემდგომ გამრავლებას. ეს არის ერთ-ერთი სწორი, ჰუმანური გზა, რომ მაწანწალა ძაღლები დავიყვანოთ მინიმუმამდე, ამბობს ქალბატონი ნინო.



**P.S.** აღსანიშნავია, რომ ყვარელი ტურისტული ქალაქია და ისინი ძირითადად ქალაქის ცენტრში გადაადგილდებიან და სწორედ იქ არიან თავმოყრილი ეს მაწანწალა ძაღლებიც, რომლებიც თავისებურად ანტისანიტარიასაც ქმნიან და დასანახადაც არასასიამოვნოა. კარგი იქნება თუ რაიონის ხელმძღვანელობა, ამ საქმის აქტივისტები გვერდში დაუდგებიან და დახმარებას გაუწევენ მაწანწალა ძაღლების მფარველობის ქვეშ მდგომ ადამიანებს და იზრუნებენ ქალაქი დაიცვან ანტისანიტარიისაგან და რაც მთავარია, იზრუნებენ ადამიანებისთვისაც, რათა საფრთხე არ შეექმნათ მათი მხრიდან.

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**

# 9 აპრილი ყვარლის №2 საჯარო სკოლაში

მრავალტანჯული საქართველოს სულსა და სხეულს სამუდამოდ დააჩნდა 1989 წლის 9 აპრილი, როცა უმოწყალოდ აჩეხეს და დაწამლეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეები მხოლოდ იმისათვის, რომ თავიანთი სამშობლოს მთლიანობა, ერთიანობა, თავისუფლება სურდათ, გულისწადილი საჯაროდ, ქვეყნის გასაგონად გამოხატეს და მთელი ძალით აჟღერდა გ. ტაბიძის პოეტური მანიფესტი: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“.



„მე მტკივა 9 აპრილი“ – ღონისძიების მიზანიც სწორედ ის იყო, რომ კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ 30 წლის წინ თბილისში დატრიალებული ტრაგედია და პატივი მიეგოთ თავისუფლებისათვის მებრძოლთა სულებისთვის. მონაწილეობდნენ VI-X კლასების მოსწავლეები, (პედაგოგები: თინა ზურაბიშვილი და მზია ბაიდოშვილი).

მოსწავლეებმა ისაუბრეს ანტისაბჭოთა მოძრაობის საფუძვლებზე საქართველოში, აპრილის საპროტესტო აქციებზე, 9 აპრილის მომიტინგეთა დარბევაზე, გაიხსენეს თვითმხილველთა ნაამბობი, იმსჯელეს ტრაგედიის შედეგებსა და მნიშვნელობაზე.



ბიჭუნათა გუნდის მიერ შესრულებულმა სიმღერამ „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“ და ეკრანზე ტანკების გამოჩენამ თავისუფლების მოედანზე, ყველა ააღელვა.

დასასრულ, მონაწილეებმა და დამსწრე საზოგადოებამ სანთლები დაანთეს დაღუპულთა სულების საპატივსაცემოდ. ამავე დროს შესრულდა ჯ. სეფიაშვილის ცნობილი სიმღერა „ტიტები“, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს ჰიმნად იქცა.

ღონისძიება ორგანიზებულად და შინაარსიანად წარიმართა. მზადების პროცესში პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული სკოლის დირექცია.

ღონისძიებას ესწრებოდა ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ქეთევან ჭიპაშვილი და სპეციალისტი ნესტან კოკორაშვილი.

**მზია ბაიდოშვილი,**
**ყვარლის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი**

# ალი

**(ნამდვილი ამბავი)**

ამასწინათ, ჯაჯანიძე თავის გადაცემაში „სხვა რაკურსით“, სტუმრად მოწვეულ მამაოს შეეკითხა: მართლა არსებობენ ავი სულები, ეშმაკები და წყლის ჯადოქარი ალიო..

ამ შეკითხვამ ბავშვობის დროინდელი ამბავი გამახსენა, თუ როგორ გვეშინოდა ბავშვებს უხილავი სულების. პაპაჩემი ოსტატი იყო საშიში ამბების თხრობისა. ისე ვიყავით ჩემი და-ძმები შეშინებულები, რომ შეღამდებოდა, გარეთ ფეხის გამომდგმელები არ ვიყავით. საკუთარი ჩრდილისაც კი გვეშინოდა.

ერთხელ, აი, რა გვიამბო პაპაჩემმა: ღამით მიტოვებულ სახლთან გავლა საშიშია, იქ თავს იყრიან ავი სულები, სადაც ცეკვავენ, მღერიან და იძახიან იმ ადამიანების სახელებს, ვისაც რაიმე უბედურება მოელისო. თანაც დამარწმუნებლად დასძენდა: ჩემი ყურით მაქვს მოსმენილიო... კიდევ მახსენდება ასეთი რამ: ვითომ ავი სულები, გვიან ღამით, ადამიანის ხმაზე იძახებდნენ გარეთ ამორჩეულ პიროვნებას, აჰყავდათ სახლის სახურავზე და იქიდან აგდებდნენ, ან წყალში ახრჩობდნენ.

დედაჩემის მუდარას, ბავშვებს ნუ მიშინებო, ყურადღებას არ აქცევდა. დღესაც არ ვიცი, რატომ გვაშინებდა, ნამდვილად კი ასე იყო. შიშისგან გულგახეთქილ ჩემს და-ძმებს ეს ყველაფერი გვჯეროდა მანამდე, სანამ ასეთი რამ არ მოხდა.



მყავდა მამინაცვალი, რომელიც ძალიან უშიშარი კაცი იყო. არაფრის არ ეშინოდა. ზაფხულის ერთ პაპანაქება დღეს დედაჩემმა ენაზე ტყავი „გადაიძრო“, სიმინდის ყანა გახმობის პირასააა, იქნებ წასულიყავი და მოგერწყოო. ნაკვეთი, რომელიც „გურგვალ ტყეში“ (ასე ეძახდნენ იმ ტერიტორიას) გვქონდა, საკმაოდ შორს იყო ყვარლიდან. წყლის ხელში ჩაგდება მოსარწყავად, იმ დროს ძალიან ძნელი იყო. ეს იცოდა ჩემმა მამინაცვალმაც და ღამე წავიდა მოსარწყავად, ხელს არავინ შემიშლისო. დაუწყვია მორწყვა, მაგრამ წყალი მალევე დაწყვეტილა. აჰყვა ნაპირს და ნახა, რომ სხვებიც ყოფილან იმ ღამეს წყალზე „მონადირენი“. ეს რამდენჯერმე გამეორებულა. ასე არ გინდათო და მათი შეშინება გადაუწყვეტია. გაშიშვლებულა, ჩამდგარა წყალში და მოხრილი, წყლის დგაფუნით აჰყოლია ზევით. ეს რომ შეუნიშნავთ ბიჭებს, ალი ჰგონებიათ და თავქუდმოგლეჯილები გაქცეულან.

ამ ამბის შემდეგ აღარაფრის აღარ გვეშინოდა, რადგან გვჯეროდა, არავითარი ავი სული არ არსებობდა ამქვეყნად.

**მზია კუპრაშვილი**

# სტალინის ქალიშვილის გაქცევა სსრკ-დან

## – რატომ არ სურდა არც ერთ ქვეყანას სვეტლანა ალილუევასთვის თავშესაფარი მიეცა

41 წლის ასაკში, ანუ ნახევარი ცხოვრების გავლის შემდეგ, სვეტლანა ალილუევამ საბჭოთა კავშირი დატოვა, როცა ბოლოს და ბოლოს აშშის ტურისტული ვიზა და იქ ჩასვლის თანხმობა მიიღო.

ამერიკელები მას ისე შეხვდნენ, როგორც საბჭოთა კავშირიდან გაქცეულთა შორის ყველაზე ცნობილ ადამიანს. მართლაც ასე იყო – სვეტლანა იოსებ სტალინის შვილი გახლდათ.

საბჭოთა კავშირში სვეტლანა ალილუევას ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. დედამ, ნადეჟდა ალილუევამ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მაშინ სვეტლანა შვიდი წლისაც არ იყო. წმენდას, რომელიც სტალინმა მოაწყო 30იან წლებში, მისი მრავალი ნათესავი ემსხვერპლა.

საყვარელი დეიდა მარიამი და ბიძა ალექსანდრე სვანიძე – სტალინის პირველი ცოლის ძმა, დააპატიმრეს და როგორც ხალხის მტრები, ისე დახოცეს. მათი ვაჟიც, სვეტლანას ბავშვობის მეგობარი, უკვალოდ გაქრა. ბიძა სტანისლავ რედენსიც, ნადეჟდას დის, ანას მეუღლე, დახვრიტეს. სვეტლანას ბიძამ, პავლემ (დედის ძმამ), პანიკურ შიშში ცხოვრებას ვერ გაუძლო და ინფარქტით გარდაიცვალა.

სვეტლანა 17 წლის როცა იყო, მამამისმა მისი შეყვარებული, ალექსი კაპლერი 10 წლით გულაგში გამოკეტა... სვეტლანას ცხოვრებაში ტრაგიკული მოვლენები სტალინის სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა. უფროსი ძმა ვასილი დააპატიმრეს და 1962 წელს ლოთობით გარდაიცვალა.

სვეტლანას ლიტერატურული მეგობრები 60იანი წლების ნახევარში ერთიმეორის მიყოლებით გაუყენეს შრომითი ბანაკების გზას. როცა სვეტლანამ ბოლოს ცოტა სიმშვიდე ჰპოვა ბრაჯეშ სინხის (ინდოელი პოლიტიკოსი, მოსკოვში მთარგმნელად მუშაობდა) მკლავებში, მას ოფიციალური ხელმოწერის უფლება არ მისცეს, თუმც კი სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა.

ბოლოს სვეტლანას ნება დართეს, შეყვარებულის ნეშტი მშობლიურ ინდოეთში ჩაეტანა.

### განგის პირას

როცა მისთვის მიჩენილ მზრუნველთან, ვინმე კასიროვასთან ერთად სვეტლანა თვითმფრინავიდან დელის აეროპორტში ჩავიდა, 1967 წლის 20 დეკემბერს, მას საბჭოთა კავშირის საელჩოს მეორე მდივანი და საელჩოს კიდევ ორი მოხელე დახვდა. აეროპორტიდან ისე სწრაფად გააქანეს, რომ ჟურნალისტებმა ორი სიტყვაც ვერ ათქმევინეს. საელჩოს თანამშრომლებმა ჩამოართვეს ვიზა, პასპორტი და ბილეთი. სვეტლანას სურდა, ბრაჯეშის ძმისშვილის სახლში დაბინავებულიყო, მაგრამ იგი საელჩოს სასტუმროში წაიყვანეს. მის ოთახში მხოლოდ საწოლი და მაგიდა იდგა. სხვა ყველაფერი გაექროთ, ტელეფონიც კი.

სვეტლანას განუმარტეს, რომ საყვარელი ადამიანის დაკრძალვის ცერემონიალს ფარულად უნდა დასწრებოდა. მასმედიასთან ურთიერთობა ეკრძალებოდა, მოსკოვშიც დროზე უნდა დაბრუნებულიყო. გარდაცვლილის ძმისშვილმა სვეტლანას ურნაში ჩასვენებული ნეშტი გამოართვა და პროცესიას წინ გაუძღვა. სვეტლანა და სხვა ქალები ტერასაზე ავიდნენ და იქიდან უცქერდნენ პროცესიას. ქალებს მასში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ. მამაკაცებმა ურნა ნავით წაიღეს და შუაგულ განგში, წყალში ჩაუშვეს. სვეტლანა ატირდა.

ალილუევას გადაწყვეტილი ჰქონდა, 4 იანვარს მოსკოვში არ დაბრუნებულიყო. ინდოეთში მეტხანს აპირებდა დარჩენას. ვიზა ერთთვიანი ჰქონდა და საელჩო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. დელიში გაჩერება 20 იანვრამდე სურდა, ამიტომ საელჩოს ხელმძღვანელობას წერილი მისწერა და ამის შესახებ აცნობა. მას იმედი ჰქონდა, რომ ინდოეთში დასახლების უფლებას მიიღებდა.

მაგრამ ამის ორგანიზება როგორ უნდა მოეხერხებინა? გადაწყვიტა წიგნის დაწერა (ავტობიოგრაფიული: „ოცი წერილი მეგობარს“). იქნებ მისი გაყიდვა მოეხერხებინა? მისი აზრით, ტექსტი აპოლიტიკური იყო, ერთგვარი საოჯახო დღიურის ფორმის, თუმცა დიდ ინტერესს გამოიწვევდა. ის ხომ სტალინის ოჯახის შესახებ იქნებოდა.

სვეტლანამ პარიზში გამომცემლის, ემანუილ დასტერის მეუღლეს, ლიუბა კრასინს, რომელსაც მოსკოვიდან იცნობდა, წერილი მისწერა. წერილში გამოუტყდა, რომ ინდოეთში იმყოფება და საბჭოთა კავშირში დაბრუნება არ სურს. ეკითხებოდა, თუ მოახერხებდა წიგნის საზღვარგარეთ გამოცემას. ეს მიწერმოწერა დიდად სარისკო საქმე იყო, თუმცა უკეთესი გზაც არ ჩანდა. რამდენიმე დღის შემდეგ ტელეგრამა მიიღო: «დიახ, შესაძლებელია». ამის შემდეგ მან აშშის საელჩოში მისვლა გადაწყვიტა.

### გაქცევა

სვეტლანას წერილი ინდოეთში დარჩენის ვადის გაგრძელების შესახებ მოსკოვში გაიგზავნა. ცხადია, წერილით არაფერი გადაწყდებოდა, მაგრამ სვეტლანა დროის მოგებას ცდილობდა. ქვეყნის ტერიტორია 8 მარტს უნდა დაეტოვებინა. სასტუმროში და საერთოდ, საელჩოში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის ემზადებოდნენ, მუშაობდნენ მოხსენებებსა და საკონცერტო პროგრამაზე. მალე სვეტლანა ელჩმა სადილად მიიწვია. სვეტლანა საჭმელს თითქმის არ შეხებია. ელჩი კმაყოფილი დარჩა, რომ სვეტლანას მისთვის პრობლემები არ შეუქმნია.

სასტუმროში სვეტლანა ნაშუადღევს დაბრუნდა. თავდაპირველად ფიქრობდა, ამერიკის საელჩოსათვის მეორე დილით მიეკითხა. ბარგი ჩაალაგა, მათ შორის, ხელნაწერი და საჩუქრები (სვეტლანა საბჭოთა კავშირში ორ შვილს ტოვებდა – იოსებსა და ეკატერინეს). შენობიდან გამოვიდა და მორიგეს ჰკითხა, ტაქსი როგორ გამოეძახებინა. მანქანის გამოძახება მეორე დილისთვის სურდა. სასტუმროს ოთახში მძიმე ნაბიჯებით დაიწყო სიარული. კიდევ ერთხელ ჩახედა ბავშვებისთვის შეძენილ საჩუქრებს, თან თავისი გეგმის ყოველ დეტალს გულდასმით ამოწმებდა. შემდეგ ტაქსი შეუკვეთა.

მალე გონება გაუნათდა: რატომ უნდა დალოდებოდა დილას?! ეს დაუყოვნებლივ უნდა მოემოქმედა. დილით ყველგან ბევრი ხალხი იქნება. იქნებ დაბნეულიყო, შეშინებოდა და უარიც კი ეთქვა თავის განზრახვაზე. უმჯობესი იყო ღამის საბურველქვეშ გაქცევა. მით უფრო, რომ ახლა ყველა ერთობოდა და მის გაუჩინარებას ვერავინ შეამჩნევდა.



ექვსი საათისთვის სვეტლანა სასტუმროდან გამოვიდა, რათა ტაქსი გამოეძახა. მალე უკვე მანქანაში იჯდა. – ამერიკის საელჩოს მისამართი თუ იცით? – ჰკითხა მძღოლს. – რა თქმა უნდა, ახლოსაა. როგორც ჩანს, ინდოელი მძღოლი კლიენტის განზრახვას მიხვდა.

ნიუდელისა და ვაშინგტონს შორის 10საათიანი განსხვავება სვეტლანას სასარგებლოდ მოქმედებდა. ვიდრე ამერიკული დიპლომატიური მანქანა სრული დატვირთვით ამუშავდებოდა, სტალინის ქალიშვილი უკვე რომისკენ მიმავალ თვითმფრინავში იჯდა. აშშის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფოი კოლერი ძლიერ განრისხდა, როცა თავისი ელჩის, ჩესტერ ბოულსის გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო. მან უცებ მოიფიქრა შემდგომი მოქმედების გეგმა.

6 მარტს აშშის სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა საიდუმლო ტელეგრამა გაუგზავნა ლეველინ თომპსონს, სსრკში აშშის ელჩს და აცნობა, რომ სტალინის ქალიშვილმა შეერთებულ შტატებს თავშესაფარი სთხოვა; რომ სვეტლანა კომერციული თვითმფრინავით უკვე მიფრინავდა რომისკენ, ამერიკის საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომლის თანხლებით. აცნობა ისიც, რომ რომიდან აშშში გასამგზავრებელი ბილეთი სვეტლანას არ ჰქონდა.

დიპლომატიურმა უწყებამ გააფრთხილა ამერიკელი ელჩი იტალიაში ჯორჯ ფრედერიკ რეინჰარდტი, რომ სვეტლანას შტატებში ჩასვლა ცუდი იქნებოდა. საქმეს პოლიტიკური ხასიათი მიეცემოდა. ამის თავიდან აცილება საჭირო იყო ასევე სვეტლანას პირადი უსაფრთხოებისთვისაც.

შტატებში მიაჩნდათ, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ სტალინის ქალიშვილი შვეიცარიაში, ესპანეთში ან იტალიაში მიიღებდა თავშესაფარს. სახელმწიფო მდივანი თანამშრომლებს სთხოვდა სვეტლანასთვის აეხსნათ, რომ ეს მის ინტერესებშიც იყო. ამერიკის ადმინისტრაციას ამ სახის პოლიტიკური გართულება სულაც არ სურდა. ნებისმიერი გზით სვეტლანა ევროპაში უნდა გაეჩერებინათ.

როცა 7 მარტს, დილის 6 საათზე სვეტლანა და ბობ რეილი (ინდოეთში ამერიკის საელჩოს მეორე მდივანი რობერტ რეილი) რომის აეროპორტში თვითმფრინავიდან ჩავიდნენ, ამ უკანასკნელს ეგონა, რომ შტატებისკენ გამგზავრებაში მათ ხელს ვერავინ შეუშლიდა. ამიტომ ძალიან გაოცდა, როცა მათ ამერიკის ელჩის მოადგილე დახვდა და ცუდი ამბავი შეატყობინა – რეილს განუცხადეს, რომ აშშ პრინციპულად წინააღმდეგი იყო სვეტლანას მიღებისა და მათ შტატებისკენ ფრენის გაგრძელებას უკრძალავდა. ის აეროპორტის ერთ ოთახში შეიყვანეს, სადაც რეილთან ერთად მოვლენების განვითარებას უნდა დალოდებოდა.

როდესაც იტალიელმა ადმირალმა ეუგენიო ჰენკემ განუცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, ამინატორე ფანფანის, რომ სტალინის ქალიშვილი დილას რომში ჩამოფრინდაო, ეს უკანასკნელი განრისხდა: მოაშორეთ იგი აქედან, სასწრაფოდ! მისი აქ ყოფნის კვალიც კი წაშალეთ!“ – კეთილი, აეროპორტში საერთაშორისო სექციაში დავიკავებთ ადგილს, საიდანაც ვერავინ გაგვყრის“ – განაცხადა ადმირალმა.

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში აშშის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მთავრობებს დაუკავშირდა. არც ერთი მათგანი არ დათანხმდა სტალინის ქალიშვილისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას. მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იყო ყაბულს, მიეღო ალილუევა, მაგრამ თავად სვეტლანას არ ეწადა გამგზავრება იქ, სადაც ჯერ კიდევ მძვინვარებდა აპარტეიდი.

შვეიცარია დათანხმდა სვეტლანას მცირე ხნით შეფარებას. ოღონდ ეს ნებართვა უნდა დაემტკიცებინა ქვეყნის მინისტრთა საბჭოს, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ შეიკრიბებოდა. ამგვარი დაგვიანება ძალიან აღიზიანებდა იტალიურ მხარეს, თუმცა, ამის მიუხედავად, როგორც რეილი ამტკიცებდა, „ადმირალ ჰენკეს მათი დეპორტირება არ ეწადა“. აშშის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეჰპირდა იტალიელებს, რომ თუ შვეიცარიელთა დელეგაცია პარასკევ დილით არ გამოცხადდებოდა, ლტოლვილი დაუყოვნებლივ გასწევდა შეერთებული შტატებისკენ.

### შტატებში – შვეიცარიის გავლით

სვეტლანა და რეილი დამეგობრდნენ. ბინაში მხოლოდ ერთი საწოლი იდგა, რომელიც სვეტლანას მიაკუთვნეს. ტელეფონი შეუსვენებლივ რეკავდა. ყოველი საუბრის შემდეგ რეილი ფერს კარგავდა. სამაგიეროდ, სვეტლანასთან მეგობრობა ამშვიდებდა. შემდეგში სვეტლანა იხსენებდა: „მთელი სიცოცხლე მოთმინებას ვსწავლობდი და კიდევ, თავის ღირსეულად დაჭერას იმ გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებზედაც გავლენის მოხდენა არ შემეძლო“.

პარასკევს, ალიონზე ის და რეილი იმ ცნობამ გააღვიძა, რომ რომში მათი ჩასვლის შესახებ პრესას შეუტყვია. იტალიელებმა მათ დაუყოვნებლივ მოსთხოვეს ქვეყნის დატოვება და ამისთვის მხოლოდ ხუთი საათი მისცეს. სვეტლანა და რობერტი ჯარისკაცების თანხლებით გაეშურნენ თვითმფრინავისკენ, რომელიც ჯერ ლონდონისკენ, ხოლო შემდეგ შტატებისკენ მიფრინავდა. რეილმა საელჩოში დაურეკა მეგობარს გამოსამშვიდობებლად. საგანგებოდ გამოგზავნილი სამგზავრო თვითმფრინავი, რომელსაც ისინი ჟენევაში უნდა ჩაეყვანა, უკვე გამზადებული იყო. სალონში მხოლოდ ორნი იყვნენ, და კიდევ ლაინერის ეკიპაჟი.



თვითმფრინავი ღამის პირველ საათზე აფრინდა. სვეტლანა ევროპაში პირველად მოგზაურობდა. რომში მას ამის შესაძლებლობა არ მისცემია. 11 მარტს დილით სვეტლანამ გადაკვეთა „ტირანიის სამყაროსა და სინათლის სამყაროს უხილავი საზღვარი“. მისი სიცოცხლის მეორე ნახევრის ნამდვილი მოგზაურობა ახლა იწყებოდა. თუ სვეტლანა ფიქრობდა, რომ წლების განმავლობაში მამის ჩრდილში ცხოვრებას წერტილი დაესმებოდა, ცდებოდა. სვეტლანა ბეატენბერგის რაიონში ჩაიყვანეს. აშშის სახელმწიფო დეპარტამენტმა მასზე მთელი მეთვალყურეობა შვეიცარიელებს დააკისრა. ეს უკანასკნელნი კი შიშობდნენ და ამერიკელებისგან მოითხოვდნენ, რომ ისინიც მზად ყოფილიყვნენ ყოველი შემთხვევისთვის.

სვეტლანას საქმე ანტონიო ჯანერს, შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორს ჩააბარეს. როდესაც დაინახეს, რომ მასთან შესახვედრად ჟურნალისტთა მთელი არმია დაიძრა, სვეტლანა ერთ-ერთ მიყრუებულ მონასტერში დამალეს, ხოლო მონაზვნებს მასთან საუბარი აუკრძალეს.

10 მარტს, პარასკევს, დიპლომატსა და ისტორიკოს, საბჭოთა კავშირში აშშის ყოფილ ელჩ ჯორჯ კენანს ტელეფონით დაურეკეს. რეკავდა ჯორჯის მეგობარი, CIA-ს თანამშრომელი დონალდ ჯეიმსონი. „ჩვენ შეგვიძლია ამ საქმეს პოლიტიკური ხასიათი მივცეთ“. მან კენანს სვეტლანას ხელნაწერის წაკითხვა და მისი შინაარსის შეფასება შესთავაზა. ასლების გადაღებაზე CIA-ს ჯერ კიდევ სვეტლანას რომში ყოფნისას ეზრუნა. ჯეიმსონს აინტერესებდა, ტექსტის წაკითხვის შემდეგ კენანს სვეტლანასთან შეხვედრის სურვილი თუ ექნებოდა. კენანმა სვეტლანასთან შესახვედრად ჩესტერ ბოულსი გამოყო, ხოლო დინ რასკს მისწერა, ალილუევა ჩვენი საგარეო პოლიტიკის განსამტკიცებლად უნდა გამოვიყენოთო.

როცა ხელნაწერის ასლმა შტატებამდე ჩააღწია და 16 მარტს კენანს გადასცეს, ყოფილმა ელჩმა, ავადმყოფობის მიუხედავად იგი ერთ ღამეში, დიდი მღელვარებით წაიკითხა. 22 მარტს კენანი შვეიცარიაში ჩაფრინდა. ჟურნალისტების ყურადღება რომ არ მიექცია, ჯერ ქალიშვილს მიაკითხა უნივერსიტეტში, სადაც იგი სწავლობდა, ხოლო შემდეგ ჟენევის უნივერსიტეტში ლექცია წაიკითხა. კენანმა მისი ვიზიტის შესახებ სვეტლანას ამცნო. „დიდი პატივია მასთან შეხვედრა, – უთხრეს სვეტლანას, – იგი რუსეთის პრობლემების ყველაზე კარგი მცოდნეა“.

იტალიაში სვეტლანა ძალიან ჩააფიქრა ცნობამ, რომ აშშს მისი მიღება არ სურდა. არც ის იცოდა, რის იმედი უნდა ჰქონოდა კენანის დაპირების შემდეგ. როცა ეს თავაზიანი დიპლომატი ანტონიო ჯანერის სახლში სვეტლანას შეხვდა, ძალიან მოუწონა ჩანაწერები. ნათელი გახდა, რომ ხელნაწერი დიდი ყურადღებით წაეკითხა.

კენანმა გადაწყვიტა, სვეტლანა დაეცვა ამერიკაში ანტისაბჭოურ პროპაგანდაში გამოყენებისგან. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, აშშის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამისგან მაინც ვერ შეიკავა თავი. კენანმა დაარწმუნა სვეტლანა, რომ თუ მართლა გადაწყვეტდა შტატებში წასვლას, იქ გამომცემელს უპრობლემოდ იპოვიდა. 29 მარტს სვეტლანამ ფირმა Greenbaum, Wolff & Ernsts ხელი მოუწერა ორ ხელშეკრულებაზე. ერთის მიხედვით, ფირმას უნდა მოეგვარებინა ყველა საკითხი, რომელიც სვეტლანას ემიგრაციას უკავშირდებოდა, ხოლო მეორით მას ეძლეოდა როგორც უკვე დაწერილის, ისე მომდევნო წიგნების გამოცემის უფლება.

ამავე დროს, შვეიცარიის ხელისუფლება აიძულებდა აშშს, სტალინის ქალიშვილი მათი ქვეყნიდან წაეყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ქალი ამ ქვეყანას პრობლემებს არ უქმნიდა. დინ რასკმა დაითანხმა პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი, სვეტლანა შტატებში შეეშვათ, როგორც კერძო პირი. სახელმწიფო დეპარტამენტმა მედიას განუცხადა, რომ სტალინის ქალიშვილი აშშ-ში ჩამოდის ნახევარწლიანი ტურისტული ვიზით Greenbaum, Wolff & Ernstis მოწვევით, რათა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყვიტოს და რომ ოფიციალურად, დეპარტამენტს ამ საქმესთან საერთო არაფერი ჰქონდა.

### ახალი ცხოვრება

21 აპრილის დილას ბობ რეილი სასტუმროდან გამოვიდა. სვეტლანა მას უკვე ავტომანქანაში უცდიდა. ორივე ნიუიორკში მიმავალ თვითმფრინავში ჩაჯდა და ფიქციური გვარით გაფრინდა. აეროპორტში უამრავი შეიარაღებული ჯარისკაცი იყო. ჰაერში რეილმა სვეტლანას ჰკითხა:

– როცა დავფრინდებით, შეგეკითხებიან, თუ რას გააკეთებთ. ხომ არ ინებებდით, თქვენ მაგიერ მე გავცე პასუხი?

– არ არის საჭირო. მე ვუპასუხებ, – უთხრა სვეტლანამ.

მას კენანმა ტექსტი დაუწერა, რომელიც აეროპორტში უნდა წარმოეთქვა: „ამ ქვეყანაში იმიტომ ჩამოვედივარ, რომ რუსეთის საზღვრებს გარეთ ახალი ცხოვრება დავიწყო. შეერთებული შტატების გაცნობის სურვილიც მაქვს. ჩემს წიგნთან დაკავშირებით აქ ბევრ ადამიანს შევხვდები. არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩები... მგზავრობამ დამღალა, რამდენიმე დღით მინდა დავისვენო, ვიდრე მედიის წარმომადგენლებს შევხვდები“.

კენანის ამოცანა იყო ისე წარემართა სვეტლანას ცხოვრება, რომ აშშსაბჭოთა კავშირის ურთიერთობისთვის ზიანი არ მიეყენებინა. ყოფილი ელჩი ქალს საკმარისად კარგად არ იცნობდა, სტალინის ქალიშვილს არ ეწადა მისი კონსპექტით სარგებლობა. მას სურდა ნათლად აეხსნა ხალხისათვის, რატომ დატოვა რუსეთი. მთავარი მიზეზი სულაც არ ყოფილა წიგნი, არამედ ის დამოკიდებულება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდა ხელოვნებისა და ინტელექტუალებისადმი საზოგადოდ.

ამერიკელებს რაც უნდა ეთქვათ, კრემლს მაინც ვერ დააჯერებდნენ, რომ CIA-მ „არ მოამზადა და არ დააფინანსა“ სვეტლანას გაქცევა. საბჭოთა ხალხს ოფიციალურად უნდა დაეჯერებინა, რომ სვეტლანა მოიტაცეს. მათთვის გამორიცხული უნდა ყოფილიყო იმის დაშვება, რომ ქალმა საკუთარი სურვილით დატოვა რუსეთი. ამიტომ რუსებს მისი უკან დაბრუნება სურდათ.

ეს ყველაფერი სვეტლანამ სახალხოდ ასე ახსნა: „მათ არ შეუძლიათ იმის გაგება, რომ ადამიანს დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. ვერ გაუგიათ, რომ რუსეთიდან ჩემი სურვილით წამოვედი, რომ არც რამე შეთქმულებას, თუ რამე ხაფანგის დაგებას ადგილი არ ჰქონია. მათთვის ასეთი სცენარი წარმოუდგენელია.

მათთვის ადამიანის მხოლოდ ისეთი ქცევაა მისაღები, რომელიც რომელიღაც ორგანიზაციის ინიციატივიდან, კოლექტიური ნებიდან გამომდინარეობს. პირდაპირ ცოფებს ყრიან, როცა იგებენ, რომ 50 წლის განმავლობაში რუსი ხალხის განუწყვეტელი დამუშავების შედეგად ადამიანის ცნობიერებაში მაინც ვერ დამკვიდრდა სამყაროს ასეთი აღქმა. მათ აღაშფოთებთ ის გარემოება, რომ მთელმა ნახევარმა საუკუნემ ამაოდ ჩაიარა და ხალხს რაღაც აქვს სათქმელი“

**ამბროსი გრიშიკაშვილი**

**ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალის, „ისტორიანის“ მაისის ნომერი**

# ენტომოფაგების რიცხოვნობის გაზრდის გზები ბუნებაში

სასოფლო-სამეურნეო კულტურებს დიდ ზიანს აყენებენ მათზე გავრცელებული მავნე ორგანიზმები. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების ჩაუტარებლობის შემთხვევაში მოსავლის 35-40% იკარგება.

მავნე მწერების რიცხოვნობის და მავნეობის შემცირების ერთ-ერთი ეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა საშუალებაა ენტომოფაგების (სასარგებლო მწერების) რაოდენობის გაზრდა.

ნაშრომში მოყვანილია ენტომოფაგების როლის გაძლიერების გზები. ერთ-ერთი მათგანია ნათესების და ნარგავების სიახლოვეს ნექტარმატარებელი მცენარეების (წიწიბურა, კამა, მდოგვი, რაფსი, ოხრახუში, მზესუმზირა, ესპარტეტი და სხვა) შეთესვა. მითითებულია ტყის სიახლოვის გავლენაზე ენტომოფაგების რიცხოვნობაზე.

ცნობილია, რომ ტყე ქმნის ხელსაყრელი პირობებს ცოცხალი არსებების, მათ შორის ენტომოფაგების, ცხოველმყოფელობის გაზრდისათვის.



მარცვლოვანი კულტურები, განსაკუთრებით საგვიანო, ინარჩუნებენ მტაცებელი და პარაზიტული მწერების მაღალ რიცხოვნობას ივლისამდე, ხოლო მზესუმზირა-სექტემბრამდე. ჩვენი დაკვირვებით, საგვიანო კულტურები შემოდგომაზეც ახდენენ სასარგებლო მწერების მრავალი სახეობის კონცენტრირებას – ჭიამაიების, მტაცებელი ბზუალების, ოქროთვალურების.

მტაცებელი ბზუალები, როდესაც მათი რაოდენობა 1მ2-ზე შეადგენს 2-ს არ აძლევენ პურის ხოჭოების მატლებს და მავთულა ჭიებს, გამრავლდნენ 1-2 ერთეულზე მეტად.

ჩვენს მიერ ჩატარდა სპეციალური კვლევა ენტომოფაგების რიცხოვნობაზე ნექტარმატარებელი მცენარეების შეთესვის გავლენის შესასწავლად. ამ მიზნით, ხეხილის ბაღში, ნაპირებზე, შევთესეთ წიწიბურა.

გამოირკვა, რომ ენტომოფაგები (ჭიამაიები, მტაცებელი ბზუალები) შეთესილ ნაკვეთებზე მეტი რაოდენობით გვხვდებოდა, ვიდრე შეუთესავ ნაკვეთებზე, ამასთან, ისინი გვხვდებოდნენ გვიან შემოდგომამდე, მაშინ, როდესაც შეუთესავ ნაკვეთებზე ივლისის ბოლოს არც ერთი ენტომოფაგი არ აღმოჩნდა.

წიწიბურას შეთესვით ენტომოფაგების რიცხოვნობა გაცილებით სჭარბობს შეუთესავ ფართობებში ენტომოფაგების რაოდენობას.

ენტომოფაგების რიცხოვნობა განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ახლოს არის კულტურული მცენარეების ნარგავები და ნათესები ტყესთან.

ცნობილია, რომ მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეები ქმნიან ხელსაყრელ პირობებს მრავალი სასარგებლო მწერის განვითარებისათვის. ტყის ზოლები ამცირებს ქარის სიჩქარეს, ზრდის ჰაერის ფარდობით და აბსოლუტურ ტენიანობას, აგროვებს ზამთრის ნალექებს, ამცირებს ზაფხულის მაღალ ტემპერატურას. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მრავალი ცოცხალი არსების, მათ შორის ენტომოფაგების გამრავლებას და განვითარებას.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ტყიდან მნიშვნელოვანი მანძილით (3-4კმ) დაშორებულ ნათესებში ენტომოფაგების რიცხოვნობა ნაკლები იყო 50-60%-ით.

ენტომოფაგების შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიურ წამლობათა ვადების სწორად შერჩევას. პესტიციდების შესხურება უნდა ჩატარდეს იმ პერიოდში, როდესაც მავნე მწერები მიმღებთან ფაზებში (მატლი, ზრდასრული ფაზა) არიან, ხოლო ენტიმოფაგები-გამძლე ფაზებში (კვერცხი, ჭუპრი).

ამრიგად, ენტომოფაგების შენარჩუნებისა და მათი ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ნექტარმატარებელი მცენარეების შეთესვას ნათესებში და ნარგავებში, ტყის ზოლების სიახლოვეს და წამლობათა გონივრულ ვადებში ჩატარებას.

ქიმიური პრეპარატების შესხურება მნიშვნელოვნად ამცირებს ენტომოფაგების რაოდენობას. იმ შემთხვევაში, თუ პესტიციდების გამოყენება აუცილებელია, ეს უნდა მოხდეს გონივრულ ვადებში, კერძოდ მავნე მწერები უნდა იყვნენ მგრძნობიარე ფაზებში (მატლი, ზრდასრული ფაზა), ხოლო ენტომოფაგები-გამძლე ფაზებში (კვერცხი, ჭუპრი).

ენტომოფაგები გარკვეულ როლს ასრულებენ მავნებლების რიცხოვნობის რეგულირებაში.

დედამიწის ზურგზე ბინადრობს რამდენიმე ათასი სახეობის მავნებლების ბუნებრივი მტრები. ესენი არიან-მტაცებლები, პარაზიტები. ბევრი მათგანი პარაზიტობს მატლებზე, კვერცხებზე, ზრდასრულ ფაზებზე. დიდი სარგებლობა მოაქვთ ბრაკონიდებს, ხალციდებს, ტაქინებს და სხვა.

ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში არსებობს თავისებური აგრობიოცენოზი. ცოცხალი ორგანიზმების მრავალი სახეობა იმყოფება ძალიან რთულ ურთიერთდამოკიდებულებაში. აქ ყოველთვის არსებობს მთელი ჯგუფები მავნე მწერებისა და მათთან ერთად სასარგებლო სახეობები-ენტომოფაგები, რომლებიც ანადგურებენ მცენარეებისათვის საშიშ მავნებლებს.

საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ ზონაში გავრცელებულია სასარგებლო მწერების სახეობები: მტაცებელი ბზუალები, ჭიამაიები, ტაქინები, ოქროთვალურები, ბრაკონიდები, ხალცილები და სხვა.

სპეციალისტების ამოცანა მდგომარეობს ენტომო-ფაგების რიცხოვნობის გაზრდასა და მათი როლის გაძლიერებაში მცენარეთა მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ენტომოფაგები და გავზარდოთ მათი ეფექტურობა, საჭიროა გავახანგრძლივოთ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა და ნაყოფიერება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისათვის უნდა შეიქმნას ენტომოფაგებით და მათი მოქმედებისათვის ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები.

ენტომოფაგების მიზიდვის, გამრავლებისა და ეფექტურობის გაზრდისათვის მკვლევარები ურჩევენ ნექტარმატარებელი მცენარეების შეთესვას. დადგენილია, რომ ზოგიერთ აყვავებულ მცენარეზე ენტომოფაგების კვებისას მკვეთრად იზრდება მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა (10-15-ჯერ), კვერცხდების პერიოდი და ნაყოფიერება – 3-4-ჯერ.

ჩვენს მიერ ცდები და დაკვირვებები ტარდებოდა გორის რაიონში 2014-2015 წლებში. დავადგინეთ, რომ საუკეთესო ნექტარმატარებლები არიან-წიწიბურა, კამა, მდოგვი, რაფსი, ოხრახუში, მზესუმზირა, ესპარტეტი და სხვა.

იმ ენტომოფაგებისათვის, რომლებიც ნელა გადაადგილდებიან და მოკლე მანძილზე ფრენენ (ტრიქოგრამა, აფიტისი), ნექტარმატარებელ მცენარეებს შეთესავენ ხეხილის ბაღის რიგთაშორისებში ან დასაცავი მცენარეების გარშემო, ხოლო იმ ენტომოფაგებისათვის, რომლებიც დიდ მანძილზე გადაადგილდებიან (ტაქინები, ბრაკონიდები, ოქროთვალურები), ნექტარმატარებელი მცენარეები შეიძლება დავაკავშიროთ ასობით კილომეტრით.

ტყის ზოლებში და ნაპირებზე ვრცელდებიან პეპლები და ზოგიერთი ნელა გამრავლებადი მწერები, რომლებიც გაზაფხულიდან იწყებენ განვითარებას კვერცხისმჭამელები, პარაზიტული ბუზები და სხვა სასარგებლო მწერები; ისინი აქ გროვდებიან და შემდეგ გადააფრინდებიან ნათესებზე.

მავნებლების პარაზიტები და მტაცებელი მწერები უკეთესად იზამთრებენ საგვიანო კულტურებზე-მზესუმზირაზე, სიმინდზე, ჭარხალზე, კარტოფილზე, ამიტომ, ამ კულტურებს ზაფხულის მეორე ნახევარში პესტიციდებით არ ამუშავებენ.

ნიადაგი წარმოადგენს საუკეთესო ადგილს მტაცებლების და პარაზიტების დიდი ჯგუფების არსებობისათვის. მათი რიცხოვნობა 1ჰა ფართობზე მერყეობს 20-დან 90 ათასამდე.

ენტომოფაგების რიცხოვნობის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის შესანარჩუნებლად აუცილებელია მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში სწორად შევათავსოთ კულტურების საადრეო და საგვიანო ჯიშები.

**თინათინ გოგიშვილი**
**სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი**
agrokavkaz.ge

# რა სამუშაოები ესაჭიროება ბაღს მაისსა და ივნისის დასაწყისში



მაისი მებაღეებისთვის ყველაზე აქტიური თვეა – ამ დროს ზამთრისგან თავდაღწეული ბუნება უკვე აქტიურად იღვიძებს, მცენარეები ჰყვავის და ათასფერს იძენს, სითბო კი ყოველდღე უფრო აქტიურად გვაგრძნობინებს ზაფხულის მოახლოებას.

თუმცა, სანამ მიწა თბება და იღვიძებს, სწორედ მაისში ბაღს და მიწის ნაკვეთს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, რომ წლის ბოლოს მოსავალმა არ გაგვაწბილოს. ამ დროს საქმის და ბაღის მოვლის გადადება მოსავლიანობაზე ძალიან ცუდად აისახება.

უპირველესად უნდა განვსაზღვროთ, აპრილში და შედარებით ცივი გაზაფხულის პერიოდში მოსამზადებელი სამუშაოები, დავასრულეთ თუ არა. იქნებ სადმე დაუბარავი, გაუწმენდავი ან გადასარგავი და მოუვლელი დაგვრჩა მიწის ნაკვეთი ან რაიმე მცენარე. სწორედ დაუსრულებელი სამუშაოები უნდა დავასრულოთ და დასარგავი ან დასათესი თუკი რაიმე დაგვრჩა, სასწრაფოდ უნდა მივხედოთ ამ საქმეს, უკვე ღია გრუნტში.

აუცილებელია, პირველ ეტაპზე ბაღის მოწესრიგება. უნდა შეგროვდეს ყველა ნარჩენი (მცენარეების ნარჩენები, ხმელი და მოტეხილი ტოტები) და დაიწვას. უნდა შევამოწმოთ შრომის იარაღებიც და საჭიროების შემთხვევაში შევაკეთოთ ან მოვაწესრიგოთ. თორემ როცა ისინი დაგვჭირდება, მათი გაუმართაობა ხშირად დროში შეგვაფერხებს ან უამრავ დროს დაგვაკარგვინებს.

ახლა კარგი დროა იმისათვის, რომ ნაყოფისმომცემი ხეებისა და ბუჩქების ძირი გავაფხვიეროთ, გავმარგლოთ და სარეველები მოვაშოროთ, ზაფხულში ეს ცოტა რთულია. გაფხვიერებისა და გაწმენდის შემდეგ კი სასუქი შევიტანოთ და კარგი იქნება მულჩირებაც ანუ ვარჯის ძირში ნახერხის ან ხმელი ნამჯის დაყრა, რაც ტენიანობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს და ზედმეტი ტენი არ დაიკარგება. მულჩირება კომპოსტით ან კარგი მიწის ნაზავითაც შეიძლება.

დამატებით უნდა გამოვკვებოთ სასუქით ხეხილოვანი მცენარეები (ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ალუბალი და სხვები). კარგი და სასურველია რომ ეს ყვავილობამდე გვექნა, მაგრამ თუკი სასუქს დავუმატებთ (სასურველია ორგანული) მცენარისათვის უკეთესია. სასუქის დამატების შემთხვევაში მცენარე აუცილებლად კარგად უნდა მოირწყას.

წელს ცივმა გაზაფხულმა გაახანგრძლივა გადარგვის პერიოდი. თუმცა, ვინაიდან მცენარეების ვეგეტაცია დაწყებულია, გადარგვის შემთხვევაში აუცილებელია ნერგის ამოთხრა და გადატანა ისე მოხდეს, რომ მიწის დიდი გუნდა ამოვაყოლოთ, რათა ფესვები არ დაზიანდეს. გადარგვის შემდეგ კი სასურველია მულჩირება. უნდა გვახსოვდეს, რომ მაისის მეორე ნახევარში გადარგვა მიზანშეწონილი ნაკლებად არის, თუმცა მიწის მოზრდილი გუნდის ამოყოლებით, შედეგი სასურველი იქნება.

არ უნდა დაგვავიწყდეს ზოგიერთი ხეხილის შეწამვლა. განსაკუთრებით ეს ეხება ატამს, რომელიც დასავლეთ საქართველოში მაღალი ტენიანობის გამო, ხშირად ავადდება სოკოვანი და სხვა პარაზიტებით. ამიტომ მას რამდენჯერმე სჭირდება პრეპარატებით დამუშავება.

ყურადღება სჭირდება კენკროვანებსაც ჟოლოს, მოცხარს და სხვას. რათა მოსავლიანობის პერიოდში ხმელმა ტოტებმა ან საყრდენის არქონამ მცენარე არ დააზარალოს. ჟოლოს გამაგრება ესაჭიროება საყრდენებით, მოცხარს კი გამოხშირვა მხოლოდ სარგებელს მოუტანს.

გარკვეულ მოვლას საჭიროებს გაზონებიც ან მდელოები ეზოში, რომელიც გურიაში ბევრ ოჯახს გააჩნია. ბალახის გაკრეჭის შემდეგ საჭიროა მისი საგულდაგულო დაფოცხვა. აუცილებელია, რომ ეს მოხდეს პერპენდიკულარულად. შემდეგ კი თუკი სასუქსაც მოვაბნევთ ან მოვასხამთ, ზაფხულში იგი უფრო ხასხასა და ხშირი იქნება.

ყურადღებას მოითხოვს ბოსტანიც, სადაც ერთწლოვანი და ბოსტნეული კულტურებია დარგული, უმეტეს შემთხვევაში კი აწი უნდა დაირგოს. კარგი იქნება, თუ დარგვამდე კულტურებს ისე გავანაწილებთ, რომ გავითვალისწინებთ ამა თუ იმ კულტურის მოთხოვნებს მზის სინათლისადმი ან ჩრდილისადმი. უნდა გვახსოვდეს, რომ პომიდორს, კიტრსა და ყაბაყს მზე უყვარს. ნახევრადჩრდილიან ადგილებს კარგად იტანენ სტაფილო, ხახვი და კომბოსტო (მათ შორის კეჟერა ფხალიც).

უნდა მოვამზადოთ ადგილი, სადაც რაიმეს დათესვას ვაპირებთ. აუცილებელია ამ ადგილის კარგად გაფხვიერება და გადამწვარი ნაკელით განაყოფიერება. იქ სადაც მჟავე ნიადაგია, საჭიროა გადამწვარი კირიც (მჟავე ნიადაგი რაც არ უნდა გავანოყიეროთ, დაბალ მოსავალს მოგვცემს. ამიტომ სჯობს, მჟავიანობის დაწევაზე ვიზრუნოთ). მწირი ნიადაგი მოსავლიანობაზე და მცენარის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებს და შემდგომში განაყოფიერება უკვე ისეთ ეფექტს ვერ გამოიღებს.

მაისში, ივნისის დასაწყისშიც, უამრავი ბოსტნეულის დათესვა შეიძლება (თუ ადრე არ დაგვითესია ან ამინდის გამო ნათესი არ ამოვიდა). მათ შორისაა ბოლოკი, სტაფილო, სალათი, ოხრახუში, ქინძი, კვლიავი, ლობიო, ნიორი, ხახვი, კიტრი და სხვა. ვეგეტაციის დასაჩქარებლად შესაძლებელია ნათესის ცელოფნის პარკით დახურვაც. ამ დროს თბილა, მაგრამ ასე უფრო მალე ამოვა. ასეთ შემთხვევაში ცხელ დღეებში ცელოფანი უნდა გადავხადოთ და პერიოდულად მორწყვაც არ უნდა დაგვავიწყდეს. საღამოობით კი კვლავ უნდა დავხუროთ.

**ზურა ბაუჟაძე,**
gurianews.com

# მცველი მცენარეები



მცენარეები ხშირად ანტაგონიზმსაც იჩენენ და საარსებო გარემოს უზღუდავენ ერთმანეთს, მაგრამ არიან ისეთებიც რომლებიც იცავენ და უფრთხილდებიან „თანამოძმეებს“.

ამ ჯგუფს ეკუთვნის არა მარტო ის თანამგზავრი მცენარეები, რომლებიც მწერებს აფრთხობენ, არამედ ისინიც, რომლებიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, თავგზას უბნევენ მათ. ბევრი მწერი საკვებად გამოსადეგ მცენარეს სუნით ეძებს.

მაგალითად, სუნით პოულობენ კომბოსტოს მიწის რწყილები და კომბოსტოს ხვატარი. თუ კომბოსტოს სიახლოვეს მძაფრი სუნის მქონე მცენარეებს, მაგალითად, ქონდარს ან სალბს გავზრდით, ანდა კომბოსტოს ამ მწვანილეულის ექსტრაქტს მოვასხურებთ, ამით კომბოსტოს სუნი მიიჩქმალება და ეს ბოსტნეული მავნებლებისათვის ნაკლებ მიმზიდველი გახდება.

სურნელოვანი ბალახები თავიანთი მძაფრი სუნით მავნებლებს აბნევენ და ბოსტნეულ კულტურებს იცავენ, ამიტომაც რეკომენდებულია:

რეჰანი მოვიყვანოთ პარკოსნების სიახლოვეს, რათა ისინი დავიცვათ ლობიოს მემარცვლიასაგან;

ნიორი – ვარდებთან, ბუგრებისგან დასაცავად;

ოხრახუში – სატაცურის გვერდით.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბალახეულის მოქმედება ყოველთვის ერთნაირი ძალით არ ვლინდება. კულტურების დაცვის მიზნით სურნელოვანი ბალახეულის გამოყენებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ მცენარეთა შორის კონკურენცია არსებობს. ბალახეული რომ არ გათამამდეს და ძირითადი კულტურა არ დაიჩაგროს, ისინი ამ კულტურის რიგებში ცოტ-ცოტა უნდა შევთესოთ და ამ კვლების ნაპირებს „ჩარჩოსავით“ შემოვაყოლოთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ შერეულ ნათესებში მცენარეთა დაცვითი მოქმედება მავნებლებს მთლიანად ვერასოდეს გააქრობს, მხოლოდ მათი შემცირების იმედი უნდა ვიქონიოთ.

კაკლის ხეები აფრთხობს სახლისა და შინაური ცხოველების ბუზებს, ამიტომაც საძოვრებზე გაზრდილი კაკლის ხეები ძალზე უადვილებენ მინდორში ყოფნას ცხენებსა და მსხვილფეხა რქოსან საქონელს.

პირუტყვს შეიძლება შევასხუროთ კაკლის ხის ფოთლების ნახარში ბუზების მოსაგერიებლად.

სანეხვეებთან ან საჯინიბოების შესასვლელთან დარგული კაკლის ხეები ამ ადგილებში ბუზების რაოდენობას ამცირებს.

ტეგანი (ღუტა გრაველენს) აფრთხობს ბუზებს, ამიტომ კარგია, თუ მას ქოთანში ფანჯრის რაფაზე, ნაკელის გროვისა და ბოსლის ირგვლივ დავრგავთ.

ეზოში დარგული აბუსალათინი კოღოს აფრთხობს. თუ აბუსალათინს დაჭაობებული ადგილების გარშემო დავრგავთ, კოღოს გამრავლებას შევანელებთ.

პიტნა არ უყვართ ჭიანჭველებს. თუ მას სურსათის საწყობში მიმოვფანტავთ – დაიცავს ჭიანჭველების შემოტევისაგან.

აბზინდის ხმელი ფოთლები, როზმარინი, სალბი, ლავანდი და პიტნა აფრთხობს ჩრჩილს. პომიდვრისა და აბზინდის ექსტრაქტი კი – ბუზებს.

# ვაშლის მწნილი – იდეალური რეცეპტი!



ვაშლის მწნილის მომზადება უკვე აუცილებელ ტრადიციად იქცა. საქმე არა მხოლოდ იმაშია, რომ მისი გემო ყველას ძალიან მოსწონს, არამედ ის ოსტეოპოროზისა და ორგანიზმში მოხვედრილი ნებისმიერი ინფექციის დროს საუკეთესო პროფილქტიკურ საშუალებას წარმოადგენს. ეს ყველაფერი კი ვაშლის მწნილში დიდი რაოდენობით შემავალი კალციუმისა და ასკორბინის მჟავით არის გამოწვეული.

მთავარი საკვების მიღების წინ ამ ხილით პირის ჩატკბარუნება კარგია, რადგან ის მადას აღვიძებს და საჭმლის მონელების პროცესს აუმჯობესებს.

**ინგრედიენტები:**

- 2 კგ მცირე ზომის ვაშლი
- 3 ლ წყალი
- 150 გრ შაქარი
- 150 გრ თაფლი
- 2 ს/კ მარილი
- ყურძნის და მოცხარის ფოთლები

**მომზადება:**

1. ვაშლი კარგად გარეცხეთ და დიდ ემალის თასში ჩაყარეთ.
2. ქვაბში მარილი, შაქარი და თაფლი წყალთან ერთად აურიეთ, ადუღებამდე მიიყვანეთ და ადუღეთ. შემდეგ ცეცხლიდან გადმოდგით და იმწამსვე წყალი ვაშლს დაასხით.
3. ყურძნის და მოცხარის ფოთლები დაუმატეთ.
4. ზემოდან თეფში და სიმძიმე დაადეთ. 2 კვირა, ოთახის ტემპერატურაზე ვაშლი ასე გააჩერეთ, რომ დუღილის პროცესი გამოიწვიოთ.
5. ბოლო ეტაპზე ვაშლი სტერილურ მინის ქილაში მოათავსეთ და გაფილტრული წვენი დაასხით.

ვაშლის მწნილი ქილებში თვეობით ინახება, ასე რომ შეგიძლიათ 10 კგ, თუნდაც 100 კგ თამამად შეინახოთ და გაფუჭების არ შეგეშინდეთ.

**მასალები მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**

# ბრონქული ასთმის მკურნალობის სპეციფიკა და სიახლეები



*ბრონქული ასთმა ამ საუკუნის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მისი რაციონალური მკურნალობა, სწორი მართვა და პაციენტთა მდგომარეობის გაუმჯობესება პროფესიონალ ექიმ-ალერგოლოგთა კომპეტენციაა.*

*გთავაზობთ დაწვრილებით ინფორმაციას ბრონქული ასთმის თანამედროვე მკურნალობაზე, იმ მედიკამენტურ საშუალებებზე, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ბრონქული ასთმის თერაპიაში.*

*რა ჯგუფის პრეპარატები ინიშნება უმთავრესად ბრონქული ასთმის სამკურნალოდ და რატომ? როგორია მათი მოქმედების მექანიზმი, რა გვერდითი მოვლენებით გამოირჩევა ისინი, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის (რესპუბლიკური საავადმყოფოს) ექიმი*

*ალერგოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი – მურმან კიკვიძე. ბატონი მურმანი დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალია. სწორედ დიდი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერი დამოკიდებულების გამო მას უამრავი პაციენტი ემადლიერება.*

**– ბატონო მურმან, რას მოიცავს ბრონქული ასთმის მკურნალობა? რომელი ჯგუფის პრეპარატები ინიშნება ძირითადად და რატომ?**

– ბრონქული ასთმა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. მისი სიხშირე მთელ მსოფლიოში წლიდან წლამდე იზრდება. ასთმა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებაა და შეიძლება ნებისმიერ ასაკში განვითარდეს. მისი ჰიპოდიაგნოსტიკა, სიხშირის ზრდა, საზოგადოებასა და თითოეულ პაციენტზე დაავადების სოციალურ-ეკონომიკური გავლენა განაპირობებს ექიმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობას და მუდმივ განახლებას ასთმის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სფეროში.

სამწუხაროდ, დღესდღეობით ჩვენ არ შეგვიძლია პაციენტი სრულად განვკურნოთ ბრონქული ასთმისგან, მაგრამ შეგვიძლია სრული კონტროლი დავამყაროთ ასთმით დაავადებულ პაციენტთა უმრავლესობაზე. მათი ცხოვრების ხარისხი შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს და არაფრით განსხვავდებოდეს ჯანმრთელი პირებისგან. ეს კი დაავადების დროული დიაგნოსტიკისა და ადეკვატური მკურნალობის საფუძველზე მიიღწევა.

ასთმა კონტროლს დაქვემდებარებული დაავადებაა. მისი მკურნალობის მიზანი სწორედ დაავადების კონტროლია და გულისხმობს ისეთი მდგომარეობის მიღწევას და შენარჩუნებას, როგორიცაა:

• ღამის უსიმპტომობა;

• დღის უსიმპტომობა ან კვირაში 2-ზე ნაკლები;

• ყოველდღიური შეუზღუდავი აქტივობა;

• არ აღენიშნება გამწვავება;

• არ არის გადაუდებელი დახმარების პრეპარატების აუცილებლობა ან მინიმალურია (2-ზე ნაკლები კვირაში);

• გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მაჩვენებლები ნორმალურია;

• ბრონქულ ასთმაზე კონტროლი ნიშნავს დაავადების კლინიკურ გამოვლინებაზე კონტროლს და ეს კრიტერიუმები განსაზღვრულია ასთმის გლობალური ინიციატივის დოკუმენტში (I, 2006).

ასთმასთან დაკავშირებული დიდი ინტერესის გამო ყოველწლიურად იმართება ასთმის მსოფლიო დღე. ის საქართველოში მაღალ დონეზეა ორგანიზებული და უკვე რამდენიმე წელია ამ დღის გზავნილია: „თქვენ შეგიძლიათ აკონტროლოთ ასთმა“.

ბრონქული ასთმის მკურნალობის განუყოფელი ნაწილია ფარმაკოთერაპია. ასთმის სამკურნალო ყველა მედიკამენტი იყოფა ორ ჯგუფად:

• გადაუდებელი დახმარებისა და

• ბაზისური (მუდმივი თერაპიის) პრეპარატები.

პირველ ჯგუფს ეკუთვნის სწრაფად მოქმედი B-ადრენომიმეტური, საინჰალაციო ანტიქოლინერგული პრეპარატები და მათი კომბინირებული საშუალებები. ისინი ხსნიან ბრონქების გლუვი კუნთების სპაზმს.

მწვავე ბრონქოსპაზმისა და ფიზიკური დატვირთვის დროს განვითარებული სპაზმის საპროფილაქტიკოდ გამოიყენება საინჰალაციო მოკლე მოქმედების 2 აგონისტები. ეს პრეპარატები ასთმით დაავადებულთათვის კარგადაა ცნობილი (სალბუტამოლი, ვენტოლინი, ბეროტეკი). მათი გამოყენება რეკომენდებულია გადაუდებელი დახმარებისთვის, საჭიროების მიხედვით, და უნდა იყოს მინიმალური. ამ პრეპარატების ხშირი, ყოველდღიური მოხმარება იწვევს ისეთ გვერდით ეფექტებს, როგორებიცაა გულის ფრიალი, თავის ტკივილი, კანკალი.

ასთმის სიმპტომების შესამსუბუქებლად გამოიყენება გახანგრძლივებული მოქმედების 2 აგონისტებიც (ფორმოტეროლი). მას მოქმედების სწრაფი დაწყება ახასიათებს და ხანგრძლივად ინარჩუნებს ბრონქების გამაფართოებელ ეფექტს. ასთმის გლობალური ინიციატივის გზამკვლევი (გაიდლაინი) მიუთითებს ამ უკანასკნელის გამოყენებას მხოლოდ საინჰალაციო ანთების საწინააღმდეგო გლუკოკორტიკოსტეროიდებთან ერთად. მარტო ფორმოტეროლის ხანგრძლივად ხმარება ნიღბავს ქვედა სასუნთქ გზებში მიმდინარე ქრონიკულ ანთებას და ზრდის ბრონქული ასთმის მძიმე გართულების რისკს. ეს ახლებური მიდგომა უნდა გაითვალისწინონ პაციენტებმაც და იმ ექიმებმაც, რომლებიც მართავენ ასთმას.

**– საინჰალაციო საშუალებები უწინდებურად არ კარგავენ მნიშვნელობას, რომელია სადღეისოდ განსაკუთრებულად პოპულარული, ეფექტური და რატომ?**

– ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ ჩვენს სინამდვილეში ასთმიანი პაციენტები ხშირად ამჯობინებენ სწრაფად მოქმედი ინჰალატორების ხმარებას; ეს უკანასკნელი, მართალია, უმსუბუქებს მათ სიმპტომებს, მაგრამ ამ შეღავათით პაციენტები წყვეტენ დაწყებულ ბაზისურ მკურნალობას. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს:

• პაციენტის არასაკმარისი ცოდნა დაავადების სერიოზულ მიმდინარეობაზე;

• ექიმისა და პაციენტის არასაკმარისი ურთიერთობა დაავადების მართვისას;

• მუდმივსახმარი ბაზისური მედიკამენტების სიძვირე.

დავძენ, რომ ალერგიული ასთმა ქრონიკული ანთებითი პროცესია. შესაძლებელია პაციენტს არ ჰქონდეს დაავადების სიმპტომები და გარეგანი სუნთქვის ფუნქციის პარამეტრები ნორმაში იყოს, მაგრამ ბრონქული ხის ლორწოვანის ალერგიული ანთება შენარჩუნებულია და მის ჰიპერმგრძნობელობას განაპირობებს. ეს კი იწვევს ბრონქების კედლის ფიბროზულ ცვლილებებს, ე.წ. რემოდელირებას, რაც შემდგომ სასუნთქ გზებში შეუქცევად პროცესს განაპირობებს.

ყურადსაღებია, რომ ასთმის დამძიმება (სტატუსი) გვხვდება არა მარტო საშუალო და მძიმედ მიმდინარე ფორმების დროს, არამედ მსუბუქად მიმდინარე შემთხვევებშიც. სტატისტიკური მონაცემებით, მსუბუქად მიმდინარე ასთმის დროს ჰოსპიტალიზაციის 30-40% მისი გამწვავების გამოა.

ასთმის სამკურნალო მედიკამენტების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ანთების საწინააღმდეგო მოქმედების პრეპარატები:

• საინჰალაციო და სისტემური მოქმედების გლუკოკორტიკოსტეროიდები;

• კრომონები;

• გახანგრძლივებული მოქმედების თეოფილინები;

• ლეიკოტრიენული რეცეპტორების ანტაგონისტები;

• იმუნოგლობულინ E-ს მიმართ მოქმედი ანტისხეულები.

ბაზისურ შემანარჩუნებელ თერაპიაში პრიორიტეტი საინჰალაციო გლუკოკორტიკოსტეროიდებს ეკუთვნის. ესენია:

• ბეკლამეტაზონ დიპროპიონატი (ბეკლაზონი, ბეკოტიდი, კლენინი);

• ბუდესონიდი (პულმიკორტი, ბენოკორტი);

• ფლუტიკაზონ დიპროპიონატი (ფლიქსოტიდი);

• მომეტაზონის ფუროატი.

აღნიშნული მედიკამენტები:

• თრგუნავენ სიმპტომებს და დაავადების გამწვავებას;

• აუმჯობესებენ ფილტვების ფუნქციურ მაჩვენებლებს;

• ამცირებენ ბრონქების ჰიპერმგრძნობელობას და იწვევენ ბრონქების შეშუპების დათრგუნვას.

ადრეულად დანიშნული საინჰალაციო გლუკოკორტიკოსტეროიდები აუმჯობესებენ ასთმის კონტროლს, იწვევენ ფილტვების ფუნქციის ნორმალიზებას და სასუნთქი გზების შეუქცევადი დაზიანების დათრგუნვას.

სისტემური სტეროიდებისაგან განსხვავებით, ამ ჯგუფის საინჰალაციო მედიკამენტების გვერდითი ეფექტები ძალზე მინიმალურია. ადგილობრივ არასასურველ ეფექტს კი მიეკუთვნება:

• პირის ღრუს კანდიდოზი;

• ხმის შეცვლა;

• რეფლექტორული ხველა;

• პარადოქსული ბრონქოსპაზმი.

ამ არასასურველ გამოვლინებათა დათრგუნვა შეიძლება შემდეგი ღონისძიებებით:

• სპეისერის გამოყენება (სპეციალური კამერა, რომელიც მიერთებულია დოზირებულ აეროზოლთან და ზრდის პრეპარატის ფილტვებში მაქსიმალურად შეღწევას, ამცირებს პირის ლორწოვანის დაზიანების რისკს);

• ინჰალაციის შემდეგ პირის ღრუს გამოვლება მინერალური ან ჩვეულებრივი წყლით;

• პრეპარატის გამოყენების ჯერადობის შემცირება.

პარადოქსული ბრონქოსპაზმი მოიხსნება სწრაფად მოქმედი ბრონქოდილატატორის შესუნთქვით (ვენტოლინი, სალბუტამოლი), რომელიც რეფლექტორულ ხველასაც თრგუნავს.

**– რას გვეტყვით კომბინირებულ პრეპარატებზე?**

– ასთმის მკურნალობაში გაცილებით ეფექტური და პერსპექტიული მოქმედებისაა გახანგრძლივებული მოქმედების 2 აგონისტის და საინჰალაციო გლუკოკორტიკოსტეროიდის კომბინაცია, რაც ასთმის ბაზისური თერაპიის საფუძველია. ამ ჯგუფის მედიკამენტების შექმნას მკაცრი სამეცნიერო დასაბუთება აქვს. ორი სხვადასხვა კლასის პრეპარატი ერთ ინჰალატორში ბრონქული ასთმის პათოფიზიოლოგიურ მექანიზმზე სინერგიულად მოქმედებს. გლუკოკორტიკოსტეროიდი თრგუნავს ქრონიკულ ანთებას, ამცირებს ბრონქულ ჰიპერმგრძნობელობას, ხოლო გახანგრძლივებული მოქმედების 2 აგონისტი არა მარტო ბრონქების გლუვი კუნთების მოდუნებას იწვევს, არამედ თრგუნავს ბრონქების შემავიწროებელი მედიატორების გამოთავისუფლებას სასუნთქი გზების სამიზნე უჯრედებიდან და ამცირებს ბრონქების ლორწოვანის შეშუპებას.



ამ ჯგუფს ეკუთვნის:

• სალმეტეროლ/ფლუტიკაზონი (სერეტიდი, ფიქს ფლოუ, ეარფლუსალი);

• ფორმოტეროლ/ბუდესონიდი (სიმბიკორტი).

სისტემური გლუკოკორტიკოსტეროიდები არაა რეკომენდებული ასთმის შემანარჩუნებელი მკურნალობისთვის, რადგან მათ ხანგრძლივ ხმარებას (ტაბლეტირებული, საინექციო ფორმა) თან ახლავს რიგი გართულებები:

• წყალელექტროლიტური ბალანსის დარღვევა;

• ოსტეოპოროზი, პათოლოგიური მოტეხილობები;

• კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, სისხლდენა;

• არტერიული წნევის მატება;

• სიმსუქნე;

• ლატენტურად მიმდინარე შაქრიანი დიაბეტის გამოვლენა;

• ბავშვების ზრდის დარღვევა;

• ინფექციების აქტივაცია და სხვა.

სისტემური მოქმედების გლუკოკორტიკოსტეროიდები გამოიყენება ბრონქული ასთმის გამწვავებისას მძიმედ მიმდინარე ფორმის დროს და გამწვავების შედგომ პროგრესირებას უშლის ხელს. ინიშნება 5-10 დღიანი ინტერვალით და გამწვავების კუპირების შემდეგ მოიხსნება ან დოზა თანდათან მცირდება და პაციენტი აგრძელებს საინჰალაციო შემანარჩუნებელ თერაპიას.

**– ბოლო წლები ასთმის მკურნალობაში წარმატებით გამოიყენება ანტილეიკოტრიენული პრეპარატები. აუხსენით მკითხველს, რა განაპირობებს მათ ეფექტურობას.**

– დავიწყოთ იმით, რომ ლეიკოტრიენები ალერგიული ანთების წამყვანი მედიატორებია. არ იქნება ზედმეტი კიდევ გავიმეოროთ, რომ ასთმა სასუნთქი გზების ქრონიკული ანთებითი დაავადებაა და მასში მრავალი უჯრედი და უჯრედული ელემენტი მონაწილეობს.

ალერგიული ასთმის და საზოგადოდ, სასუნთქი გზების ალერგიული დაავადებების დროს ალერგენის მოხვედრის შემდეგ ალერგიულად განწყობილ პირებში გამოთავისუფლდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (ჰისტამინი, ლეიკოტრიენები, პროსტოგლანდინები და სხვა), რომლებიც იწვევენ ანთებას, რასაც მოჰყვება დაავადების კლინიკური ნიშნები (ბრონქოსპაზმი, ქავილი, გამონაყარი და სხვ.). ლეიკოტრიენები გამოირჩევა საკმაოდ ძლიერი ბიოლოგიური აქტივობით და ამდენად მათ დათრგუნვას დიდი მნიშვნელობა აქვს ასთმის მკურნალობაში სასურველი შედეგის მისაღწევად.

ცისტეინური ლეიკოტრიენები იწვევენ ბრონქების შევიწროებას, აძლიერებენ ბრონქებში ლორწოს გამოყოფას სისხლძარღვების განვლადობის ზრდასთან ერთად და ავითარებენ ლორწოვანის შეშუპებას. ლეიკოტრიენების დათრგუნვის ორი გზა არსებობს: მათი სინთეზის და უჯრედის დონეზე მათი ეფექტის შეფერხება. პირველი მექანიზმის დამთრგუნველი პრეპარატია ზილეუტონი, ხოლო მეორე, რეცეპტორთა ანტაგონისტ პრეპარატებს მიეკუთვნება:

• ზაფირლუკასტი (აკოლატი);

• მონტელუკასტი (სინგულარი, ვანსეარი, მონკასტა, მოტეკი, ლუკამონტი).

ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე მრავალი ანტილეიკოტრიენული პრეპარატია შემოსული. ორიგინალური პრეპარატები რიგით პირველად გადიან რეგისტრაციას და მათ ხშირად ბრენდებსაც უწოდებენ. ტერმინოლოგიის მიუხედავად, ორიგინალური ან ეტალონური წამალი არ ნიშნავს იმას, რომ ის ბრენდულ ჯენერიკზე ან ჯენერიკზე უკეთესია. აღნიშნული მედიკამენტები გადიან სპეციალურ ფარმაკოლოგიურ კვლევას და შემდეგ შემოდიან ფარმაცევტულ ბაზარზე. ასე რომ ჩვენთან არსებული ამ ჯგუფის მედიკამენტები ბიოეკვივალენტურნი არიან და წარმატებით გამოიყენება რიგი ალერგიული დაავადების სამკურნალოდ.

**– დღეს ძალიან პოპულარულია პრეპარატები მონტელუკასტი და ვანსეარი. მკითხველები ხშირად გვეკითხებიან მათ შესახებ, მათი მოქმედების მექანიზმზე. რატომ არის ასე პოპულარული ეს პრეპარატები? როდის არ შეიძლება მათი დანიშვნა, რა უკუჩვენებები აქვს მათ?**

– პაციენტებიც ხშირად გვეკითხებიან ვანსეარის გამოყენების შესახებ. წლების განმავლობაში საკმაო გამოცდილება გვაქვს ამ პრეპარატის გამოყენებისა მოზრდილ პაციენტებთან და ბავშვებთანაც.

ვანსეარი ცისტეინური ლეიკოტრიენების ბლოკირებით თრგუნავს მათ პათოლოგიურ ეფექტს სასუნთქ გზებში და იწვევს სიმპტომების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ბრონქოსპაზმის მქონე ბავშვებთან. ამ ეტაპზე საგრძნობლად იმატებს ბავშვებისა და მოზრდილების ვირუსული ინფექციების სიხშირე. ხშირად ვირუსული ინფექცია ბავშვებს უვითარებს ბრონქების ობსტრუქციულ მდგომარეობას, რაც მსტვინავი სუნთქვით გამოვლინდება. მას თან ახლავს შეუპოვარი ხველა, ცხვირის გაჭედვა, ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა, სიმპტომების გაძლიერება მეტად ღამით. ლეიკოტრიენების დონე 5-ჯერ უფრო მაღალია ვირუსული ინფექციის დროს ცხვირ-ხახის სეკრეტში, ვიდრე ობსტრუქციის გარეშე მიმდინარე ზემო სასუნთქი გზების ინფექციისას. მონტელუკასტის ჩართვა მწვავე ეპიზოდის პირველი ნიშნებიდანვე სტანდარტულ თერაპიასთან ერთად მნიშვნელოვან გაუმჯობესებას იძლევა.

ბრონქული ასთმის დროს ვანსეარის ხანგრძლივი, 3-12-თვიანი მკურნალობის ფონზე მნიშვნელოვნად მცირდება საინჰალაციო კორტიკოსტეროიდებისა და 2 აგონისტების გამოყენება. ეს პრეპარატი ყველა ასაკობრივ ჯგუფში გამოიყენება და ალერგიის წინააღმდეგ მიმართული განსხვავებული გზაა. ვანსეარით დაახლოებით 100 000 კაცია ნამკურნალები საქართველოში.

მონტელუკასტი კარგი ტოლერანტობით ხასიათდება, თუმცა ზოგჯერ შეიძლება გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს, როცა პაციენტს აღენიშნება მომეტებული მგრძნობელობა წამლის რომელიმე კომპონენტის მიმართ. ეს ეფექტები მსუბუქია და ხშირად არ მოითხოვს წამლის მოხსნას. მაგალითად: თავის ტკივილი, დიარეა, გამონაყარი კანზე, წყურვილის გრძნობა. რა თქმა უნდა, პაციენტმა ამ სიმპტომების შესახებ ექიმს უნდა აცნობოს.

ასთმის მკურნალობაში საკმაო ხანი წარმატებით გამოიყენებოდა კრომონები –კრომოგლიკატის მჟავას წარმოებულები (ინტალი, ტაილედი). ეს პრეპარატები იწვევენ სამიზნე უჯრედების მემბრანის სტაბილიზაციას და აფერხებენ მათგან ალერგიული რეაქციის მედიატორების გამოყოფას. დღეისათვის მათი გამოყენება მოზრდილებისთვის არაა იმდენად ეფექტური, რადგან საინჰალაციო კორტიკოსტეროიდების ეფექტი ბევრად აღემატება კრომონებით მკურნალობის შედეგს.

აღსანიშნავია ასთმის მკურნალობაში გახანგრძლივებული თეოფილინების როლი. მათ აქვთ ბრონქოდილატაციური მოქმედება და დაბალ დოზებში სუსტი ანთების საწინააღმდეგო უნარი. ამ ჯგუფს ეკუთვნის პუროქსანი, თეოტარდი, დოქსაფინი. მაღალი დოზით მოხმარების შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს გულის რიტმის დარღვევა, გულისრევა, კრუნჩხვები.

**– რა სიახლეა სადღეისოდ ასთმის მკურნალობაში? რა შეიცვალა ბოლო პერიოდში, რა ახლებური მიდგომა გამოიკვეთა?**

– სიახლედ უნდა ჩაითვალოს ბრონქული ასთმის მკურნალობაში მონოკლონური ანტი Ig ანტისხეულები (ანტისხეულები იმუნოგლობულინ -ს მიმართ). როგორც ცნობილია, ალერგიულ, ატოპიურ პაციენტებს აქვთ გენეტიკური წინასწარგანწყობა. ორგანიზმში მოხვედრილი გარე ალერგენები (საყოფაცხოვრებო და მცენარეული მტვერი, ეპიდერმული და სოკოვანი ალერგენები და სხვა) მეტად იწვევს ასეთი პირების ალერგიულ მზადყოფნას და ალერგენის განმეორებით მოხვედრის შემდეგ გამომუშავდება ალერგიული იმუნოგლობულინი და ალერგენთან ერთად აღძრავს ალერგიულ რეაქციას, რაც სამიზნე უჯრედებიდან მედიატორების გამოტყორცნას იწვევს და ასთმის ნიშნები იჩენს თავს. რეკომბინირებული ანტისხეულები მიმართულია სწორედ ამ მომატებული იმუნოგლობულინ -ს მიმართ და თრგუნავს მის დამაზიანებელ ეფექტს.

ამ ჯგუფს ეკუთვნის ომალიზუმაბი (ქსოლეარი), მეპოლიზუმაბი. ომალიზუმაბი ასთმის მკურნალობის რეკომენდაციებში (გაიდლაინში) ჩართულია მეხუთე საფეხურზე და ასთმის კონტროლის მიღწევაში მძიმე ფორმის ასთმის დროს მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ ხშირად საშუალო და მძიმე ფორმის ასთმით დაავადებული პაციენტები მდგრადნი არიან საინჰალაციო კორტიკოსტეროიდების მიმართ. აღნიშნული პრეპარატები მხოლოდ საინექციო სახითაა წარმოდგენილი, ძვირად ღირებულია და მათი გამოყენება დასაშვებია კომპენტენტური ალერგოლოგ-იმუნოლოგის მიერ.

როგორც ხედავთ, ასთმა კაცობრიობის სერიოზული დაავადებაა. ის არ იკურნება, მაგრამ შესაძლებელია მისი კონტროლი. ასე რომ ასთმიანი პაციენტებისათვის იმედის მომცემია როგორც დღეს არსებული მედიკამენტებით მკურნალობა, ისე მომავლის შედეგიანი პრეპარატები.

საჭიროა ასთმის დროული და სწორი დიაგნოსტიკა, მკურნალობის დროული დაწყება, პაციენტთა კავშირი მკურნალ ექიმებთან, რომ თავი იგრძნონ უფრო კომფორტულად, სუნთქვა იყოს თავისუფალი და ცხოვრება – მშვენიერი.

**თინათინ გოცაძე**

mkurnali.ge

# სასუქებისა და მაკროელემენტების სიმცირე-სიჭარბის გარეგანი ნიშნები მცენარეებში

მცენარის მაკროელემენტებით კვების დიაგნოსტიკა გარეგნული ნიშნების მიხედვით.

### აზოტი

აზოტის სიმცირის შემთხვევაში ადგილი აქვს ყველა ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების ნაზარდების, ყლორტებისა და ფესვების ზრდა – განვითარების შეფერხებას.

მისი სიმცირე ძლიერ უარყოფითად მოქმედებს ყველა მცენარის ფოთლების განვითარებაზე, რომელთაც გააჩნიათ ღია მწვანე შეფერილობა, ხოლო ძლიერი დეფიციტის დროს ქლოროფილის დაშლის გამო ქვედა იარუსის ფოთლები ავადდებიან ქლოროზით და იღებენ ყვითელ შეფერილობას, ზოგიერთი მცენარის ფოთლები იღებენ წითელ შეფერვასაც.

ხანგრძლივი შიმშილის დროს შესაძლებელია მთელი მცენარე დაავადდეს ქლოროზით. შემდგომში ფოთლების ხმობის გამო ყვითელი ფერი თანდათან გადადის ყავისფერში. ამასთან ერთად ადგილი აქვს ნაზარდების ზრდის შეჩერებას და გახევებას. თითქმის ჩერდება რეპროდუქციული ორგანოების წარმოქმნა. ძალზე მცირე რაოდენობით ყვავილები, მარცვლები და ნაყოფების წარმოიქმნებიან, რომლებიც არანორმალურად არიან შეფერადებული.

აზოტის სიჭარბის დროს ფოთლებს გააჩნიათ ძალზე მუქი მწვანე შეფერილობა. ზოგიერთი მცენარის ფოთლების კიდეებზე, მაგალითად კიტრზე, გოგრაზე და კომბოსტოზე, აზოტით ჭარბი კვებისას თავდაპირველად ჩნდება ყვითელი 3-4 მმ სიგანის ყვითელი არშია, რომელიც ქსოვილების კვდომის გამო თანდათან გადადის ყავისფერში.

შემდგომში ხმობა თანდათან ვრცელდება ფოთლის ფირფიტის შუა გულისაკენ და ყველა მცენარის ფოთლის კიდეები და წვერი ეხვევა ქვემოთ. მცირდება ყვავილების რაოდენობა და ნაყოფმსხმოიარობა. განვითარებული ნაყოფები მახინჯია. რაც უფრო ძლიერია სიჭარბით დაზიანება მით უფრო მოკლდება ვეგეტაცია მცენარის ხმობის გამო.

### ფოსფორი

ფოსფორით შიმშილის დროს ადგილი აქვს ფესვთა სისტემისა და მიწისზედა ორგანოების ზრდის მკვეთრი შეფერხებას. მისი სიმცირით გამოწვეული ფიზიოლოგიური დავადებები იწყება ქვედა ფოთლებიდან, რომლებიც თავდაპირველად იღებენ მუქ მწვანე, ძლიერი დეფიციტის შემთხვევაში ალისფერ შეფერილობას.

ფოთლის ძარღვებშორის წარმოიქმნებიან ყავისფერი ლაქები, რომლებიც შემდგომში ერთდებიან და იწვევენ ფოთლის მთლიანად ხმობას ამასთან ერთად ფერხდება მცენარეთა ფესვთა სისტემისა და მიწისზედა ორგანოების ზრდა-განვითარება, ადგილი აქვს უჯრედის კედლების გამსხვილებას.

ფოსფორის დეფიციტი მკვეთრად ამცირებს რეპროდუქციული ორგანოების წარმოქმნასა და განვითარებას, ადიდებს სტერილური ყვავილების რაოდენობას და ამცირებს ნაყოფმსხმოიარობას. განვითარებული და ნაყოფები მცირე ზომისაა, თავთავები და ტაროები შეუვსებელია, გაზრდილია ბჟირი მარცვლების რიცხვი



ამ ელემენტით ჭარბი კვება ამცირებს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობას, აჩქარებს მომწიფებას, რის გამოც მცირდება სასაქონლო პროდუქციის რაოდენობა. ფოთლები ნაადრევად ჭკნება.

### კალიუმი

კალიუმის სიმცირის შემთხვევაში მუხრუჭდება მცენარეთა ფესვთა სისტემისა და მიწისზედა ორგანოების ზრდა – განვითარება, ყოვნდება ყვავილების განვითარება, ნაყოფებისა და მარცვლის მომწიფება. დიდდება ბჟირი მარცვლების რაოდენობა.

მცირდება ეპიდერმისის სისქე, რაც აპირობებს ყანის მასიურ ჩაწოლას ქვედა ფოთლები იღებენ მუქ მწვანე შეფერილობას, არათანაბრად იზრდება მათი ფირფიტა, რაც იწვევს დანაოჭებას.

კალიუმით შიმშილის დროს თავდაპირველად ძველი ფოთლის კიდეების ქსოვილები ყვითლდებიან, შემდგომში იწყებენ ხმომას და ყავისფერ შეფერილობას იღებენ, რასაც „კიდეების სიდამწვრე“ ეწოდება.

კიდეების ხმობა შემდგომში მთელ ძარღვთშორისებზე ვრცელდება. ეს სიმპტომები პირველ რიგში შეიმჩნევა კალიუმისადმი მომთხოვნ ძირხვენა და ტუბერიან კულტურებზე. ზოგიერთი მცენარის ფოთლები იღებს მუქ იისფერ შეფერილობას.

კალიუმის სიჭარბისა და მაგნიუმის სიმცირის დროს ნაყოფებზე წარმოიქმნება მწარე სიდამპლე.



### კალციუმი

ამ ელემენტით შიმშილი შეინიშნება მჟავე ნიადაგებზე მცენარის ახალგაზრდა მოზარდ ორგანოებზე. ის აპირობებს ფესვებისა და მიწისზედა ორგანოების ზრდის წერტილების და კვირტების დაზიანებას და ხმობას.

თავდაპირველად ზედა იარუსის ფოთლების ძარღვთშორისებზე ვითარდება მოთეთრო შეფერილობის ნათელი ქლოროზული ლაქები, რომლებიც სწრაფად ფართოვდებიან და მთელ ფირფიტას იკავებენ.

ამასთან ერთად ადგილი აქვს ქსოვილების უჯრედის კედლების გათხელებას, გალორწოვნებას და ფოთლების ერთმანეთზე დაწეპებას. აღინიშნება აგრეთვე ფოთლის კიდეების ხმობა. ნაყოფები ნაადრევად იწყებენ ლპობას.

კალციუმის სიჭარბე აპირობებს მცენარეთა ნაადრევ დაბერებას.

### მაგნიუმი

მაგნიუმი შედის ქლოროფილის შემადგენლობაში. ამ ელემენტით შიმშილის დროს მისი დაშლა იწყება ქვედა ფოთლებიდან, რომლებზედაც ვითარდება ძარღვთშორისი ქლოროზი, რომლის დროსაც მაგნიუმით შიმშილის ხარისხის მიხედვით ფოთლების ძარღვთშორისები აჭრელებულია ღია მწვანედ, ღია ყვითლად, ნარინჯისფრად, ან წითლად.

ამასთან ერთად ფოთლის ფირფიტაზე ჩნდება მოყვითალო ქლოროზით დაავადებული უბნები, რომლებიც მოგვიანებით ხმებიან, იღებენ ყავისფერ შეფერილობას, ხდებიან მყიფე, მტვრევადი. დაავადებულ მცენარეზე ფოთლები ნადრევად ცვივა, ნაყოფებიც ადრეულად მწიფდება.

მაგნიუმით ჭარბი კვება აფერხებს მცენარის მიერ კალციუმისა და კალიუმის შეთვისებას.

### რკინა

რკინა მონაწილეობს ქლოროფილის წარმოქმნაში, ამიტომ მისი სიმცირის დროს თითქმის ყველა მცენარე ავადდება ქლოროზით.

დაავადების სიმპტომები თავდაპირველად ჩნდება ზედა იარუსის ახალგაზრდა ფოთლების ძარღვთშორისებზე, რომლებიც თავდაპირველად იღებენ ღია მწვანე, შემდგომ მოთეთრო-მოყვითალო და ბოლოს ყვითელ შეფერილობას.

ამასთან ერთად აღინიშნება ფოთლის კიდეების და წვერის ხმობა. შემდგომში მთელი ფირფიტა ხმება და ფოთლები ცვივა.

### გოგირდი

გოგირდი არ შედის ქლოროფილის შედგენილობაში , მაგრამ მისი სიმცირის დროს მაინც შეინიშნება ქლოროზის ნიშნები, რომელიც ძალზე წააგავს აზოტის ნაკლებობის სიმპტომებს.

გოგირდით შიმშილის დროს უფრო ხშირად ახალგაზრდა და ზოგჯერ ძველი ფოთლები იღებენ ყვითელ, ნარინჯისფერ და წითელ შეფერილობას. ზრდა შეფერხებულად მიმდინარეობს, რის გამოც ვითარდება მოკლე, ხეშეში წვრილი და სწორი ყლორტები.



# პომიდვრის განოყიერების ხალხური საშუალებები და რეცეპტები

### ქათმის ნაკელით (სკორე) გამოკვება

ქათმის სკორე მცენარეებზე, კომპლექსურ მინერალურ სასუქზე ნაკლებად არ მოქმედებს მასში ბევრია აზოტი და ფოსფორი.

რეცეპტი 1: ძალიან ეფექტურია წყალში გახსნილი ახალი სკორეს გამოყენება, ამისთვის 10 ლიტრიან ჭურჭელს 1/3 – ით ავსებენ ქათმის ახალი ნაკელით, შემდეგ ჭურჭელს პირამდე ავსებენ წყლით და აყენებენ 7-10 დღით ჰაერზე. ამის შემდეგ 0.5 ლიტრ მიღებულ სითხეს აზავებენ 10 ლიტრი წყლით (არ გამოიყენოთ გაუზავებლად) და კვლებს შორის ასხავენ დაახლოებით 5-6 ლიტრი 1მ$^{2}$-ზე.

რეცეპტი 2: მშრალი სკორესაც იყენებენ განოყიერებისთვის, 0.5 კგ. მშრალ სკორეს დაასხავენ 10 ლიტრ წყალს, ჭურჭელს კარგად დახურავენ (აზოტი, რომ არ დაიკარგოს), აყენებენ 3-5 დღე. ყოველდღე ურევენ. შემდეგ აზავებენ მიღებულ სითხეს შეფარდებით 1/20 (1წილი სითხე, 20 წილი წყალი) და უსხავენ მცენარეს 1 ძირზე 0.5-1.0 ლიტრის ანგარიშით.

### ჟიჟა

ჟიჟა საქონლის ნაკელისგან მომზადებული მასაა, წილობრივად 1:1 შემადგენლობით.

რეცეპტი : 10კგ. ახალ ნაკელს დავასხამთ 10 ლიტრ წყალს და დღეში ორჯერ ვურევთ, 10-14 დღის მანძილზე. მასა აუცილებლად უნდა იყოს თავდახურული. მიღებულ სითხეს ვაზავებთ წყლით 1/10 პროპორციით (არ გამოიყენოთ გაუზავებლად) და ვიყენებთ 1 მცენარეზე 0.8-1.0 ლიტრის ანგარიშით.

### წუნწუხი

წუნწუხი პირუტყვის შარდია, რომელსაც აგროვებენ ბოსელთან სპეციალურად მომზადებულ ორმოში. საქონლის შარდი ძალიან მდიდარია აზოტით.

რეცეპტი : 1ლ წუნწუხი გააზავეთ 20 ლიტრი წყლით და დაუსხით მცენარეებს 1 ძირზე 1 ლიტრის გათვლით. გახსოვდეთ აზოტის ჭარბი დოზებით მიღების დროს მცენარეს უვითარდება ზედმეტი ვეგეტატიური მასა, რაც ამცირებს მოსავლიანობას.

ეს რა თქმა უნდა არ არის სრული ჩამონათვალი.

უნდა გავითვალსიწინოთ, რომ ჯიშები რომელსაც ვყიდულობთ, ითხოვენ გარკვეულ აგროტექნოლოგიას, შესაბამისად მცენარეთა დაცვის ან განოყიერების სქემას. ამიტომ როდესაც ვიყენებთ ხალხურ საშუალებებს, უნდა ვიცოდეთ რა ნივთირებების ჩანაცვლებას ვახდენთ აღნიშნულ სქემებში და რისი საჭიროება აქვს მცენარეს.

**მასალები მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**

პომიდვრის კვება შეიძლება არამარტო მზა სასუქებით, არამედ ხალხური რეცეპტებით, ნატურალური, ბუნებრივი განოყიერების საშუალებებითაც.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საჭიროა კარგად ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ, რა ნიადაგია, ანგარიში უნდა გავუწიოთ კლიმატს და მცენარის მდგომარეობას.

მცენარის სწორი კვება, სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს, კარგ ყვავილობას, ნაყოფიერებას, ჯამრთელ და ხარისხიან მოსავალს. როგორც წესი პომიდვრის პირველი გამოკვება ხდება ჩითილის გადარგვიდან ორი-სამი კვირის შემდეგ, ეს ეხება როგორც დახურულ, ისე ღია გრუნტში გამოზრდილ ჩითილებს. მთელი ვეგეტაციის პერიოდში 3-4 ჯერ კვებავენ – საშუალოდ 12-14 დღიანი ინტერვალით.

გთავაზობთ პომიდვრის კვების რამდენიმე საშუალებას

### იოდით გამოკვება

იოდი არამარტო აჩქარებს ნაყოფი მომწიფებას, არამედ ფიტოფტოროზისგან თავის დაცვის (პრევენციის) ერთგვარი საშუალებაცაა.

რეცეპტი: 10 ლიტრ ნადგომ წყალში, აზავებენ 4 წვეთ იოდის ხსნარს (რომელიც ყველა აფთიაქში იყიდება), მიღებული ხსნარი უნდა დავუსხავთ მცენარეს 1 ძირზე 2 ლიტრის გათვლით.

### ნაცრით გამოკვება

ფოთლოვანი ხის ნაცარი შეიცავს: 3,5% ფოსფორს, 10% კალიუმს და 30% კალციუმს. ხოლო წიწვოვანი ხის ნაცარი შესაბამისად: 2,5% ფოსფორს, 6% კალიუმს და 35% კალციუმს.

რეცეპტი 1: ნაცრის ხსნარს ასე ამზადებენ, 10 ლიტრ წყალში გახსნიან 1 ჭიქა (150-200 გრ.) ნაცარს მიღებულ სითხეს გავაჩერებთ ერთი კვირა და შემდეგ დავუსხავთ პომიდორს, დაახლოებით 0.5 ლიტრი 1 მცენარეზე.

ნაცარი გამოიყენება მცენარეთა ფესვგარეშე კვებისთვისაც.

რეცეპტი 2: ამისთვის იღებენ 300გრ. ნაცარს ხსნიან მას 3 ლიტრი წყალში, ადუღებენ 30 წუთი, შემდეგ აჩერებენ 5 საათი და უმატებენ 50 გრამ სარეცხ (72%) საპონს, მიღებულ სითხეს გაწურავენ და ასხურებენ მცენარეს.



## ს პ ო რ ტ უ ლ  ა ს პ ა რ ე ზ ო ბ ე ბ ზ ე

# ყვარლის ხელბურთელთა გუნდი საქართველოს ჩემპიონია

16 აპრილს თბილისში სასპორტო კომპლექს „არენაში“ დამთავრდა საქართველოს 15 წლამდელ ხელბურთელ გოგონათა 2018-2019 წლების ჩემპიონატი, რომელშიც 13 გუნდი იღებდა მონაწილეობას.

გადამწყვეტ შეხვედრაში ყვარლის სასპორტო სკოლის ნაკრებმა გუნდმა 5 ბურთიანი სხვაობით 12:7 დაამარცხა სამტრედიელი ხელბურთელები და ღირსეულად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა.

აღსანიშნავია, რომ ყვარლელმა ხელბურთელებმა 12 ჩატარებული შეხვედრიდან თორმეტივე მოიგეს, მეტოქის კარებში გაიტანეს ყველაზე მეტი ბურთი და საკუთარ კარებში მიიღეს ყველაზე ნაკლები. (ბურთის სხვაობა 168-58). მეორე ადგილი დაიკავა სამტრედიის ნაკრებმა, ხოლო მესამე თბილისის გუნდმა.

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლები მიიღეს: ამონაშვილმა, აფციაურმა, სურამლიშვილმა, თავლორაშვილმა, იოსებაშვილმა, სმოიანმა, ტეტოშვილმა, ოსიაშვილმა, ქოჩორაშვილმა, ვარდიაშვილმა, კობახიძემ, სეფაშვილმა, მამისაშვილმა და ჩიხიაშვილმა (მწვრთნელები: ზ. ხარებაშვილი, გ. ღონიაშვილი).

გაისად ჩამოყალიბდება 2004-2005 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა ნაკრები გუნდი, რომელიც 2020 წლის ივლისში (შვედეთში) ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. წარმატება ვუსურვოთ ჩვენს სპორტსმენებს.





# ომის ვეტერანი საქართველოს მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების მადლიერია

მამაჩემს, დავით მეტრეველს – დიდი სამამულო ომის ვეტერანს, ყველაზე მეტად 9 მაისის დღესასწაული უყვარს.

საქართველოს მთავრობა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და მერიის ჯანდაცვის სამსახური ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენენ მამაჩემის მიმართ. ამა წლის 9 მაისსაც საქართველოს პრემიერმა, ბატონმა მამუკა ბახტაძემ, ყვარლის მერმა, ბატონმა როსტომ სესიაშვილმა და მერიის ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა მაია ავაზაშვილმა დაასაჩუქრეს ფულადი ჯილდოთი.

დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს პრემიერს, ბატონ მამუკა ბახტაძეს, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ როსტომ სესიაშვილს, მერიის ჯანდაცვის სამსახურის უფროსს, ქალბატონ მაია ავაზაშვილს და სამსახურის ყველა თანამშრომელს ჩვენი ოჯახის მიმართ სითბოსა და ყურადღების გამოჩენისთვის.

**პატივისცემით, დავით მეტრეველის ოჯახი.**



# თავისუფალი ჭიდაობა

19-21 აპრილს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ამირან მაისურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ჭაბუკთა შორის, სადაც წარმატებით გამოვიდნენ ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელები.

38 კგ. წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა დავით ჭუნაშვილმა, მან ყველა მეტოქე დაამარცხა და ტურნირის ჩემპიონი ისე გახდა, რომ მეტოქეებს არც ერთი ქულა არ დაუთმო. (მწვრთნელი ბესიკ სამიტაშვილი).

გაგაცნობთ ტურნირის პრიზიორებს წონითი კატწგორიების მიხედვით: 26 კგ. წონით კატეგორიაში მეამე საპრიზო ადგილი მოიპოვა ქებაძემ, 32 კგ. წ. კ. მეორე ადგილი – რასულოვმა (მწვრთნელები გვრიტიშვილი და ცირიკშვილი), ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ტორაძემ (მწვრთნელები ბ. სამიტაშვილი, ვ. ჭუნაშვილი) 48 და 52 კგ. წონით კატეგორიებში შესაბამისად მესამე ადგილები დაიკავეს პავლიაშვილმა და კოკორაშვილმა. (მწვრთნელები: მ. როზომაშვილი, გ. მეტრეველი, ვ. ჭანტურიძე.)

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# საქართველო და ქართული

ამ მიწის მადლმა გამზარდა,
ზეცის აქ მხურავს საბანი,
აქ მაქვს წინაპართ საძვალე,
ჩემი ცრემლებით ნაბანი...
ის ხეც ამ მიწას იზრდება,
ჩემი სამარის ფიცარი,
ერთი მაქვს ქვეყნად სამშობლო,
უფალთან დასაფიცარი!
არ ამრევია ბოროტში,
კეთილი აქ შევიცანი,
აქ გაითლება, იმ ხისგან,
ჩემი სამარის ფიცარი!
მხოლოდ ერთი მაქვს სამშობლო,
ენა – სამ ანბანქარგული,
მე სხვათა ენას არ ვსწავლობ,
სხვებმა ისწავლონ ქართული!
სამყაროს გუგუნს ყურს ვუგდებ,
მის ფერხულში ვარ ჩართული.
გულში კი ორი მზე ბრწყინავს –
– საქართველო და ქართული!

**იზოლდა იოსებიანი**
**2019 წლის 5 მაისი**



# სამეჯლისო ცეკვების კონკურსზე

5 მაისს, ქალაქ კასპში ჩატარდა სამეჯლისო და სპორტული ცეკვების კონკურსი „შიდა ქართლი 2019“, რომლის ორგანიზატორი გიორგი მჭედლიშვილია.

კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადსხვა რეგიონის ანსამბლები და კლუბები. წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი შოუნომრები, ასევე მოცეკვავე წყვილები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

ჟიურის წარმოადგენდნენ სპეციალურად მოწვეული პროფესიონალი მოცეკვავეები და მსაჯები,

რომელთაც გამოავლინეს გამარჯვებულები – 1, 2, 3 საპრიზო ადგილების მფლობელები, სხვადსხვა ასაკობრივ ჯგუფებსა და შემსრულებლებში.

ამ კონკურსში მონაწილეობას იღებდა ყვარლის კულტურის სახლთან არსებული სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ანსამბლი „ბალანსე“, (ხელმძღვანელი: თათია ხიზანიშვილი) რომელიც შთამბეჭდავი შოუნომერით წარდგა მაყურებლის წინაშე და ძლიერი კონკურენციის მიუხედავად მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა. ეს იყო პირველი კონკურსი ჩვენი მოცეკვავეებისთვის და სერიოზული წარმატება.

**ია გიგიაშვილი**







გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86